# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 25 მაისი 2002 №94 (1616) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით ყიფიანის თასი

## 26 მაისი

# ლოკომოტივი თბილისი VS ტორპედო ქუთაისი

## შაშიაშვილმა თბილისკენ საჰაერო და სახმელეთო ძალები დაძრა

## 2 თვითმფრინავი, 13 ჯიპი, 15 ავტობუსი

## კიდევ კარგი, ქუთაისში სატანკო ქარხანა არ არის





## ლოკომოტივის მთავარი არგუმენტი მიეცით ჯანაშიას პასი და, ა, თასი

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

# ს. კ. ლოკომოტივი

დაარსდა 1990 წელს
კლუბის პრეზიდენტი: აკაკი ჩხაიძე
მწვრთნელები: სერგო კოტრიკაძე, გია ჯიშკარიანი
სტადიონი: „ლოკომოტივი" (ტევადობა 25 600)
ვერცხლის პრიზიორი (2): 2001, 2002
ბრინჯაოს პრიზიორი (1): 1999
საქართველოს თასის მფლობელი (1): 2000

*პირველ ოთხ ჩემპიონატში გამოდიოდა „მერანის", მეხუთე-მეექვსეში კი „მერანი-ბაჩოს" სახელით*

**2001-2002 გზა ფინალამდე**

**მერვედფინალი**

**ლოკომოტივი 3:0 დილა**
1:0 ქიქველიშვილი (49), 2:0 კ. გოგიჩაიშვილი (57), 3:0 დათეაძე (67)

**დილა 0:2 ლოკომოტივი**
0:1 დათეაძე (34), 0:2 დ. გოდერძიშვილი (73)

**მეოთხედფინალი**

**ბათუმი 1:2 ლოკომოტივი**
0:1 კაიდარაშვილი (5), 1:1 მაჭუტაძე (38), 1:2 დავითაშვილი (65)

**ლოკომოტივი 2:1 ბათუმი**
1:0 კაიდარაშვილი (51), 1:1 აფხაზავა (65), 2:1 სირაძე (81)

**ნახევარფინალი**

**ლოკომოტივი 1:0 დინამო**
1:0 რუსია (74)

**დინამო 0:0 ლოკომოტივი**

სულ: 6 თამაში, 5 მოგება, 1 ფრე, 0 წაგება; ბურთები: 10:2



# დავით ყიფიანის თასი

**ფინალი**
**თბილისი. 26 მაისი**
**ეროვნული. 18 საათი**

# ს. კ. ტორპედო

დაარსდა 1948 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ზურაბ ხინჯიკაძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი
სტადიონი: „ტორპედო" (ტევადობა 20 000)
საქართველოს ჩემპიონი (3): 2000, 2001, 2002
ვერცხლის პრიზიორი (1): 1999
ბრინჯაოს პრიზიორი (2): 1991, 1994
საქართველოს თასის მფლობელი (2): 1999, 2001

*პირველ სამ ჩემპიონატში გამოდიოდა „ქუთაისის" სახელით*

**2001-2002 გზა ფინალამდე**

**მერვედფინალი**

**მერანი 0:1 ტორპედო**
0:1 ლევან სილაგაძე (72)

**ტორპედო 4:0 მერანი**
1:0, 2:0, 3:0 იმედაძე (14, 26, 39), 4:0 იონანიძე (71)

**მეოთხედფინალი**

**გურია 0:2 ტორპედო**
0:1 იონანიძე (9), 0:2 ჩილვინიძე (83)

**ტორპედო 2:0 გურია**
1:0 გ. კვარაცხელია (3), 2:0 იონანიძე (67)

**ნახევარფინალი**

**ტორპედო 1:0 ვიტ ჯორჯია**
1:0 ზვ. ქუთათელაძე (45)

**ვიტ ჯორჯია 1:0დ.დ. (1:0, პენ. 3:4) ტორპედო**
1:0 გოჩაშვილი (60)
პენალტები: 0:1 აბრამიძე, 0:1 დოლმელაშვილი (მეკარე), 0:2 გ. ასათიანი, 1:2 გველესიანი, 1:3 ხვადაგიანი, 2:3 დ. დოლიძე, 2:3 თოდუა (ააცილა), 3:3 ჯ. მუჯირი, 3:4 გ. კვარაცხელია, 3:4 მელქაძე (მეკარე)

სულ: 6 თამაში, 5 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება; ბურთები: 10:1

# ბურთი გაგორდება, ნერვი აწოკდება

## მიეცით ჯანაშიას პასი და, ა, თასი



სერგო კოტრიკაძე

**ჩემპიონატში** პირველობის მოსურნე და საბოლოოდ ვერცხლს დაჯერებული „ლოკომოტივი" სეზონის ბოლო თამაშისთვის ემზადება. თასის ფინალისთვის რკინიგზელებს უხასიათობა ნამდვილად არ ეტყობათ, მაგრამ სამი დღის წინანდელი სიხალისეც სადღაც გამქრალა.

„ლოკომოტივმა" ფინალამდე ბოლოსწინა წვრთნა ვაკეში, საკუთარ სტადიონზე ჩაატარა. დღეიდან მწვრთნელ-ფეხბურთელები შეკრებაზე გადავლენ, საღამოს 6 საათზე „ეროვნულზე" ივარჯიშებენ და გადამწყვეტი მატჩის დროც მალე დადგება.

სერგო კოტრიკაძე და გია ჯიშკარიანი შეგირდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ფიქრობენ, ცდილობენ, გაამხნევონ, მაგრამ მოთამაშეები ვარჯიშს რაღაც მძიმედ იწყებენ, ზანტად უგორებენ ერთმანეთს ბურთს.

სანამ მოთელვა დაიწყებოდა, კლუბის პრეზიდენტი, რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცი აკაკი ჩხაიძე გამოჩნდა. ფეხბურთელებმა ერთად მოიყარეს თავი და შორიახლოს გაჩერდნენ. პრეზიდენტი მწვრთნელებს გაესაუბრა, ბიჭებს ერთი გადახედა, თავი დაუქნია და თანმხლებებთან ერთად გასასვლელისკენ გაეშურა. გზად მიმავალს წინასამატჩო კომენტარი ვთხოვეთ, მაგრამ თავაზიანი უარი მივიღეთ, კომენტარზე ფინალის შემდეგ არ დაგზარდებითო.

მოედანზე კი ვარჯიში გახურდა და ნელ-ნელა იშტაზე მოვიდნენ მოთამაშეები. „ლოკომოტივს" ხალისი დაუბრუნდა და საათზე მეტხანს იდინეს ფეხბურთელებმა ოფლი.

ნავარჯიშევს გასახდელისკენ არავინ წასულა, ბურთები მოიგდეს და ზოგმა დარტყმებში იმეცადინა, ზოგმაც ჟონგლიორობით შეიქცია თავი. მოედნის კიდესთან ყველაზე ახლოს **სერგო კოტრიკაძე** იმყოფებოდა და პირველი სიტყვაც მან გვითხრა.

— ალბათ, ფინალისთვის დამახასიათებელი თამაში იქნება — ფრთხილი და დაძაბული. ყველაფერს, ჩემი აზრით, ერთი გოლი გადაწყვეტს და გამტანიც თასს დაისაკუთრებს.



კახა გოგიჩაიშვილი



ზაზა ჯანაშია

ფეხბურთელების ჯანმრთელობას ნამდვილად არ ვუჩივით, გამოცდილებაც საკმარისი გაგვაჩნია და ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, გამარჯვების სურვილი და სტიმული უდიდესია.

რკინიგზელთა კაპიტან **კახა გოგიჩაიშვილს** ვარჯიშზე სხვებზე მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ ურბენია. მოგვიახლოვდა, წყლიან ბოთლს დასწვდა და ჩვენც ვისარგებლეთ მომენტით.

— დრო რომ გაივლის, რა ვიცი, იქნებ აზრი შევიცვალო, მაგრამ დღეს ასე ვფიქრობ — კვირას ფეხბურთელი კახა გოგიჩაიშვილი თავის ბოლო სათასო ფინალს ითამაშებს. ძალიან მინდა, გავიმარჯვოთ და მერე ბუცების ლურსმანზე დაკიდებაც მშვიდად შეიძლება.

**— შეძლებთ კი ჩემპიონის დამარცხებას?**

— შეუძლებელი არაფერია. „ტორპედო" საკუთარ მოედანზე წავაქციეთ და თბილისში იგივე რატომ ვერ უნდა მოვახერხოთ?!

**— კი მაგრამ, „ტორპედოსაც" მოუგია თბილისში „ლოკომოტივისთვის".**

— რაღაა გასაკვირი, ფეხბურთში ხან მოიგებ, ხანაც წააგებ. სადღეისოდ შანსები თანაბარია. ვნახოთ, ვის უფრო გაუმართლებს.

ეროვნულ ჩემპიონატში 18 გოლის გამტან **სულიკო დავითაშვილს** თვრამეტნომრიანი ტრუს-მაისურა მოურგია. გამეტებით სეტყვავდა მეკარეებს.

— თასი უნდა მოვიგოთ. არა, წაგება წარმოუდგენელია.

**— მეტოქეს არაფერს ეკითხებით იქნებ?..**

— მათ ჩემპიონობაც ეყოფათ, თასი კი რკინიგზას.

**— ფინალში გოლს თუ გაიტანთ?**

— ვეცდები, მაგრამ ვერავის ვერაფერს შევპირდები.

— გოლს გავიტან აუცილებლად, თუ რა თქმა, უნდა პასს მაღირსებს ვინმე. **ზაზა ჯანაშიას,** ეტყობა, ჩვენი საუბარი ესმოდა, ჩაგვიქროლა, ეს მოგვაძახა და გასახდელში გაუჩინარდა.

მოედანი ყველაზე გვიან ცენტრალურმა მცველებმა — **ლაშა სალუქვაძემ** და **სერგო ორბელაძემ** დატოვეს.

— დაცვას „ტორპედოს" არჩეული განლაგების მიხედვით დავაყენებთ, გვითხრა სალუქვაძემ. თუ ქუთაისელებმა ერთი თავდამხსმელი, ითამაშეს, მაშინ მე ოდნავ უკან დავიხევ, თუ ორი ფორვარდით შეგვიტიეს, მაშინ მე და სერგო ხაზზე განვლაგდებით.

**— ქუთათელაძე, პოროშინი, იონანიძე... რომელთან არ ისურვებდით ორთაბრძოლას?**

სერგო ორბელაძეს დიდხანს არ უძებნია პასუხი, თითოეულს თავისი კოზირი აქვს, წარმატებით თამაში სამივესთან შეიძლება. ვეცდებით, რიონისპირელები შევაჩეროთ.

**მამუკა ძგანტალიანი**

# ყველანი თბილისში!

## შაშიაშვილი და ტორპედო საჰაერო და სახმელეთო ძალებით მოდიან



ქუთაისელები თბილისში 15 ავტობუსით ჩამოვლენ

**ოთხშაბათის** საჩემპიონო მატჩის შემდეგ ქუთაისის „ტორპედო" დღესაც ლხენაშია. მთელი ქალაქი იმერეთის გუბერნატორის, თემურ შაშიაშვილის თამადობით „დინამოს" დამარცხებას ქუთაისელ ფეხბურთელებს გმირობად უთვლის და... მალა ჭამაში მოდისო — თასის დაპატრონებასა და დუბლის გახერხებას ითხოვს. ამის გამოცდილება კი „ტორპედოს" აქვს. შარშანდელ სეზონში ძოძუაშვილის შეგირდებმა ჩემპიონობის ოქროს მედლებიც შეირგეს და თასიც ხვალინდელ მეტოქეს „ლოკომოტივს" ახალგახსნილ ვაკის კოხტა სტადიონზე აწაპნეს.

„ტორპედო" თბილისს დღეს ეწვევა და მას დედაქალაქში თემურ შაშიაშვილი ჩამოუძღვება მრავალრიცხოვანი „ლაშქრით" — 13 ქუთაისური ჯიპითა და ორი თვითმფრინავით და „ტორპედოს" ფანებით გაძეძგილი 15 ავტობუსით. შაშიაშვილმა სათასო მატჩის გამო ტრადიციული თეატრალური ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალიც კი ორი დღით გადადო და ლადო მესხიშვილის თეატრის ლოჟის ნაცვლად, გუნდის საქომაგოდ „ეროვნულის" ტრიბუნაზე მოკალათდება.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

გიო აზვლედიანის

## სვეტი

# განსაკუთრებული

26 მაისი კარგი დღეა ქართული ფეხბურთისთვის, ამ დღეს ხომ თასის ფინალი იმართება.

26 მაისი ისედაც კარგი დღეა, ალბათ, ყველაზე კარგი მთელს წელიწადში, მაგრამ ფეხბურთი მართლა ამშვენებს ხოლმე. ეგებ ხალხი ბევრი არ დადის სტადიონზე, მაგრამ 26 მაისს ყოველთვის ჭიდილია ხოლმე.

წლევანდელი თასის ფინალი გამორჩეული იქნება იმის მიუხედავად, რომ იქ ძველი ნაცნობები, უკვე ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" და მეორე ადგილზე გასული თბილისის „ლოკომოტივი" შეებრძოლებიან ერთმანეთს. 90-იან წლებში იყო ასეთი ნაჩვევი ფინალი თბილისის „დინამოსა" და ბათუმელებს შორის, ბოლო სამი წელიწადია კი „ტორპედო"-„ლოკომოტივს" ვუცქერთ.

ქუთაისელები ზედიზედ მეოთხედ არიან ფინალში, „ლოკომოტივი" მესამედ. „ტორპედოს" „ლოკომოტივისთვის" შარშან წაურთმევია თასი რკინიგზელთა შინაური სტადიონის გახსნაზე, როცა ამ გახსნის გამო იქ ჩატარდა თასის ფინალი. „ლოკომოტივმა" ერთხელ აართვა თასი „ტორპედოს" ეროვნულ სტადიონზე. ასეთია მოკლე ისტორია და ახლა, ეს გუნდები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს.

მაგრამ წლევანდელი თასის ფინალი განსაკუთრებულია, რადგან უნდა ჩატარდეს დიდი ოთხშაბათის ფონზე. ამ კვირაში ქართული საკლუბო ფეხბურთის დიდი ოთხშაბათი იყო: ჩემპიონატის ბოლო ტურში, ჩემპიონობისთვის იბრძოდა სამი გუნდი, ორი მათგანი „ტორპედო" და „ლოკომოტივი" იყო. „ლოკომოტივმა" მოიგო თავისი მატჩი და წვიმიანი ვაკის სტადიონის დიდ ტელეეკრანზე ადევნებდა თვალს ქარიანი ქუთაისის სტადიონზე მიმდინარე „ტორპედო"-„დინამოს". 76-ე წუთზე ქუთაისელებმა დინამოელებსაც და რკინიგზელებსაც აართვეს ჩემპიონობა.

„ტორპედო" დუბლს შეჩვეული გუნდია. „ლოკომოტივს" სწყურია, ეს ჯილდო მაინც აართვას გამარჯვებულს. ჩვენ უნდა შევიტყოთ, ხომ არ დაიცალა ქუთაისელთა გუნდი ემოციებისგან, ხომ არ ეყო ოთხშაბათის ზეიმი და დრამატული მატჩი? მოგვარდა თუ არა ის პრობლემები, „დინამოსთან" მატჩის დროს რომ წარმოიშვა სათადარიგოთა სკამის შორიახლოს?

„ლოკომოტივისთვის" კი ეს ტესტი იქნება. პირველი და მეორე გუნდების შეხვედრა თასის ფინალში, მეორე გუნდისთვის ბევრი რამის დამტკიცების შანსი იქნება. ერთი მხრივ, არის საუცხოო მალხაზ ასათიანი, მეორე მხრივ ჩემპიონატის მთავარმეგოლე სულიკო (აბრეზ) დავითაშვილი და ზაზა ჯანაშია.

ეს განსაკუთრებული ფინალია.

ორივეს შეუძლია ბევრი რამ ჩადოს ამ მატჩში და სეზონიც კარგი სანახაობით და გამარჯვებით დაასრულოს.

# ლოკომოტივი VS ტორპედო
## სათასო ფინალების ფოტოისტორია



„ლოკომოტივი" და „ტორპედო" თასს ერთმანეთს ზედიზედ მესამედ შეეცილებიან



2000 წლის ფინალში ზურაბ იონანიძემ (თეთრი მაისურით) და გივი კვარაცხელიამ ერთმანეთი არ დაინდეს, ახლა კი თანაგუნდელები არიან



2000 წლის 26 მაისს რევაზ ძოძუაშვილის დამოძღვრილმა „ლოკომოტივმა" პენალტებით იმარჯვა (ზედა ფოტო). 2001 წლის ფინალში კი ძოძუაშვილისვე „ტორპედომ" თასი პენალტების უკეთ შესრულებითა და ნიკა ტოგონიძის ჩინებული თამაშით დაისაკუთრა



## საქართველოს თასის ყველა ფინალი

### 1990
თბილისი. 18 ნოემბერი
ეროვნული. 35 000 მაყურებელი
**გურია 1:0დ.დ. (0:0) ცხუმი**
1:0 ფრიდონაშვილი (96)
მსაჯი: მ. მაღალურაძე

### 1991–92
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 18 000 მაყურებელი
**იბერია 3:1 ცხუმი**
1:0 ინალიშვილი (33), 2:0 რევიშვილი (54), 3:0 შ. არველაძე (60), 3:1 მ. ჯიშკარიანი (61)
მსაჯი: მ. კობიაშვილი

### 1992–93
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 25 000 მაყურებელი
**დინამო 4:2 ბათუმი**
1:0 რ. არველაძე (4), 2:0 ა. არველაძე (22), 2:1 ტულუში (26), 3:1 შ. არველაძე (35), 4:1 რ. არველაძე (37), 4:2 ხომერიკი (78)
მსაჯი: ს. კვარაცხელია

### 1993–94
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 20 000 მაყურებელი
**დინამო 1:0 მეტალურგი (რუსთავი)**
1:0 ყაველაშვილი (57)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე

### 1994–95
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 15 000 მაყურებელი
**დინამო 1:0 ბათუმი**
1:0 დემეტრაძე (27)
მსაჯი: ო. გუნთაძე

### 1995–96
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 35 000 მაყურებელი
**დინამო 1:0დ.დ. (0:0) ბათუმი**
1:0 ინალიშვილი (96)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე

### 1996–97
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 10 000 მაყურებელი
**დინამო 1:0 ბათუმი**
1:0 დემეტრაძე (31)
მსაჯი: ს. კვარაცხელია

### 1997–98
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 20 000 მაყურებელი
**დინამო 1:2დ.დ. (1:1) ბათუმი**
0:1 კანტიძე (14), 1:1 ალექსიძე (36), 1:2 ჭიჭველიშვილი (118)
მსაჯი: ს. კვარაცხელია

### 1998–99
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 5 000 მაყურებელი
**ტორპედო 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) სამგურალი**
პენალტები გაიტანეს: იონანიძე, დ. ჯანაშია, მაზანაშვილი, იმედაძე
სუხიაშვილი, გ. შენგელია
ვერ გაიტანეს: პ. ჯინჭარაძე, გ. კილასონია
მსაჯი: ს. კვარაცხელია

### 1999–00
თბილისი. 26 მაისი
ეროვნული. 10 000 მაყურებელი
**ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 4:2) ტორპედო**
პენალტები გაიტანეს: ბალაშვილი, კ. გოგიჩაიშვილი, მ. ჯიშკარიანი, ზ. ხიზანიშვილი; კ. კვეტენაძე, მ. ასათიანი
მსაჯი: ს. კვარაცხელია

### 2000–01
თბილისი. 26 მაისი
ლოკომოტივი. 35 000 მაყურებელი
**ლოკომოტივი 0:0დ.დ. (0:0, პენ. 3:4) ტორპედო**
პენალტები გაიტანეს: ლ. სალუქვაძე, დათვაძე, გ. შენგელია; ხვადაგიანი, იონანიძე, აშვეთია, მ. ასათიანი
ვერ გაიტანეს: ბალაშვილი, გილაური, ჭიჭველიშვილი; კ. კვეტენაძე, პ. ჯინჭარაძე
მსაჯი: მ. მაღალურაძე



*სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობას ხელი არ შეუშლია*
*ნიკო ლეკიშვილისთვის, საფეხბურთო მოედნის სიახლოვეს ეტრიალა. საქართველოს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარეს, ყოფილ სახელმწიფო მინისტრს ჩვენში ფეხბურთის გურმანად იცნობენ. მის ცხოვრებაში ფეხბურთს გამორჩეული ადგილი რომ უკავია, ამას ინტერვიუდანაც შეიტყობთ. ახალ ათასწლეულში ლეკიშვილმა ახალი საფეხბურთო ტრადიცია დაიმკვიდრა – ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩებს ესწრება.*

*ბატონ ნიკოსთან ფეხბურთზე საუბარი გლაზგოური „რეალი“ – „ლევერკუზენით“ დავიწყეთ.*

# ნიკო ლეკიშვილის საფეხბურთო პოლიტიკა

— ევროპული კლუბებიდან „რეალს“ ვქომაგობ და წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალი ჩემთვის გამორჩეული იყო. ზიდანის ვირტუოზულმა გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი. დიდებული თამაში გამოდგა. აღსანიშნავია ფინალის ორგანიზაციული მხარე. მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ სანახაობა თვალსასეირო, ეფექტური გამოსულიყო. საერთოდ, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩების მასპინძლობას პირველ რიგში ეკონომიური თვალსაზრისით ვუყურებ. ჩემი ანგარიშით იმ 2-3 დღის განმავლობაში გლაზგომ და ედინბურგმა 10 მილიონი დოლარით იხეირეს და ეს მარტო სტუმრიანობით. გაცილებით სოლიდური იყო სარეკლამო შემოსავალი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფეხბურთი დიდი ინდუსტრიაა და ერთობ მნიშვნელოვან როლსაც თამაშობს ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობაში.

**— ჩვენთან კი მარტო სიტყვით არის ფეხბურთი პრიორიტეტული, თორემ რეალურად საქართველოში არც კი არსებობს მოწესრიგებული საფეხბურთო მეურნეობა.**

— გეთანხმებით და ეს ძალიან მტკენს გულს. რატომღაც ჩვენში სტადიონების, სპორტული ბაზების მშენებლობაში ჩადებული ფული გადაყრილი ჰგონიათ, არადა, ელემენტარული გათვლაა საჭირო. უამრავი მაგალითია ფეხბურთი წარმატებული ბიზნესის საწინდარი რომ გამხდარა.

**— ასეთ დროს უცხოური ქვეყნების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენში კი დღეს ბიზნესმენისთვის არ არსებობს იმის გარანტია, რომ ფეხბურთში ჩადებული ფული წყალში არ გადაეყრება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სახელმწიფო არაა ჩვენთან საფეხბურთოდ შემართული...**

— სპორტისთვის, განსაკუთრებით ფეხბურთისთვის, სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია. გავიხსენოთ ჰოლანდიის, სკანდინავიური ქვეყნების, უკრაინის, თურქეთის მაგალითი. არცთუ დიდი ხნის წინ ჩვენი „დინამო“ თურქულ კლუბებთან ამხანაგურად გაჯიბრებასაც არ კადრულობდა. დღეს კი რა ხდება ამ ქვეყანაში, საფეხბურთო ბუმია. მიზეზი ნათელია — სახელმწიფო დადგა ფეხბურთის გვერდით და საქმეც დაიძრა. ასე რომ, ჩვენში თუ არ შეიცვალა ფეხბურთისადმი მიდგომა, წარმატებებზე ფიქრიც კი ძნელია.

უცხოეთში ესმით ფეხბურთის მნიშვნელობა. ნებისმიერი ქვეყნისთვის გამარჯვების სინდრომი ბევრს ნიშნავს. ელემენტარულად დიდი პოლიტიკური ამბავია. ჩვენ, სამაჩაბლოში და აფხაზეთში დამარცხებულ ერს, გვაწყენდა საფეხბურთო წარმატებები? ასეთ დროს, გარწმუნებთ, ერთიორად გაგვიიოლდებოდა შელახული სახელმწიფოებრივი რეპუტაციის აღდგენა.

**— სიტყვამ მოიტანა და არ იქნება, საქართველო — რუსეთის მომავალ საფეხბურთო დაპირისპირებაზე არ გკითხოთ.**

— ბევრი ამბობს, რომ ეს მატჩები პოლიტიკისგან უნდა გავმიჯნოთ, მაგრამ ეს აბსურდია. სადაც რუსეთი და საქართველოა, იქ უკვე პოლიტიკაა, მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს წყალბურთი იქნება, ჭადრაკი თუ ფეხბურთი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფეხბურთი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. პოლიტიკა არაა, ინგლისი საფრანგეთს რომ ხვდება, ანაც იგივე რუსეთი გერმანიას? ასე რომ, ყველაფერს თავის სახელი დროულად უნდა დავარქვათ და რუსეთთან კრასმომდგარ ორრაუნდიანი ომისთვის ღირსეულად მოვემზადოთ. თუმც ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მხოლოდ ამ ორ მატჩზე ვიფიქროთ. ევროპის ჩემპიონატის მომავალი შესარჩევი ეტაპი ბოლო შანსია ამ თაობის ფეხბურთელთათვის და თავი არავინ უნდა დაზოგოს, მომქანცველ მარათონს ღირსეულად რომ შეხვდეს. წავაგოთ რუსეთთან, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეთ.

ერთიცაა, საქმე იქამდე არ უნდა მივიყვანოთ, რომ ბოლო ტურის მატჩი რუსეთთან სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს ჩვენთვის. ასეთ დროს უმცირესი შანსი გვექნება სტუმრად თამაშისას, რადგან რეალურად დღევანდელი რუსეთის ნაკრები საქართველოსაზე ძლიერია. ჩვენი შანსი მხოლოდ ისაა, ჩვენი ნიჭი საქმისადმი სწორი მიდგომით წარმოვაჩინოთ. სწორედ პროფესიონალიზმია მნიშვნელოვანი. ზერელედ რომ ეკიდებოდნენ საქმეს, ამიტომაც დაკარგა ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიო ფეხბურთის ფორუმზე მოხვედრის დღემდე არნახული შანსი. მომხდარის ფეხბურთელებზე გადაბრალება არ შეიძლება. მე რომ ვთქვა, ჩვენი არეული ცხოვრება ხალხის ბრალია-მეთქი, არ ვიქნები მართალი. წინა ჩავარდნების მიზეზები საფეხბურთო ხელმძღვანელებში უნდა ვეძებოთ. შეცდომა იყო ორხელისუფლებიანობა ეროვნულ გუნდში და ცუდი შედეგებიც უფრო ამის ბრალია. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ ქართული ფეხბურთის სათავეში აქვთ საიმისო პოტენციალი, რომ ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდს წარმატება მოუტანონ.

**— საფეხბურთო ბიზნესი ახსენეთ და დღეს მისი შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი ტოტალიზატორიცაა.**

— ეს ბუნებრივია. სადაც ფეხბურთია, იქ ინტრიგაა. ინტრიგა აზრთა სხვადასხ... ბას ბადებს, ამას კი უმეტესწილად სანაძლეომდე მივყავართ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და სათამაშო ბიზნესს ყველგან ფართო ადგილი უჭირავს, ურიგო არაა, რომ ეს პროცესი ჩვენშიც იხვეწება.

**— თქვენ თუ გიცდიათ ბედი ტოტალიზატორში?**

— ამ მხრივ ნაკლებ აზარტული ვარ. სხვათა შორის, მონაკოში ანაც ლას ვეგასში ყოფნისას ყოველთვის უკვირდათ, კაზინოებს გვერდს რომ ვუვლიდი. ტოტალიზატორთანაც არ მქონია შეხება. მართალია, ფეხბურთი ასე თუ ისე მესმის და ინტუიციაც არ მღალატობს, მაგრამ სრულფასოვანი პროგნოზის გაკეთება ცოტა ძნელია საფეხბურთო მატჩებზე.

**— იქნებ პოლიტიკურ ფსონზე გეცადათ ბედი. „კროკო“ სანაძლეოებს იღებს კარს მომდგარ თბილისის საკრებულოს არჩევნებზე. მეეჭვება, წარმატებულმა პოლიტიკოსმა მცდარი პროგნოზი გააკეთოთ.**

— მსმენია „კროკოს“ სიახლეზე. ნორმალურია და საინტერესო. ამომრჩევლებს და თავად კანდიდატებს ყურადღების გამოჩენა მართებთ. ისეთ პარტიებზე ნუ გააკეთებენ ფსონს, უპერსპექტივონი რომ არიან კარს მომდგარ არჩევნებში, თორემ ორმაგად იზარალებენ.

**— ბატონო ნიკო, არ იქნება „დინამოზე“ არ გკითხოთ. ვიცი, რომ ამ გუნდის დიდი ქომაგი ბრძანდებით.**

— მე და „დინამო“ დიდი ხანია ერთად მოვდივართ. ამ გუნდის გამარჯვებებით არაერთი ბედნიერი წუთი მქონია. იმედგაცრუებაც ყოფილა, მაგრამ „დინამო“ ჩემში ყოველთვის იმედთან, სიხარულთან ასოცირდება. რა დამავიწყებს 1981 წლის თასების თასს. მაშინ პარტიული მუშაკი ვიყავი და ვერ წავედი დიუსელდორფში. სამაგიეროდ, ეს იმედგაცრუება თბილისში ავინაზღაურე. სიხარულით გაგიჟებული თბილისელების გაკონტროლება მევალებოდა ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, მაგრამ არანაირი ექსცესი არ მომხდარა და მეც ზღვა სიხარულის უშუალო მონაწილე გავხდი.

გამორჩევით მახსენდება ის დღე, პირველად რომ მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის თასი. ტაშკენტის პირველი სიხარულიც მახსოვს, მაშინ სკოლაში ვსწავლობდი და სიამაყით ავივსე, ჩვენები ჩემპიონები რომ გახდნენ. „დინამო“ ბევრს ნიშნავს ჩემთვის და ჩემი დიდი საფეხბურთო ოცნებაც ამ კლუბს უკავშირდება — მინდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით ვიხილო.

**ბაადურ ძგანტალიანი**

გორი. ცენტრალური. 28 მაისი. 17.30 საათი

## გორდა — ქობულეთი

# გორში ბურთი გაგორდება

**საქართველოს** მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატს ისეთი ბოლო ჰქონდა, რომ თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში უსუსურად მოთამაშე რუსთავის „გორდა“ უკეთესს ვერ ინატრებდა. რუსთაველებმა თვალებში მას შემდეგ გამოიხედეს, რაც გუნდს სათავეში ვარლამ კილასონია ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით „გორდამ“ წაუგებლად ჩაატარა დარჩენილი მატჩები და... ახლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი ბარიერი დარჩა გადასალახი.

გადათამაშებაში რუსთაველთა მეტოქე კი გუშინწინ ძველ ანგაში გაირკვა. პირველლიგელებიდან პლეი ოფში მოსახვედრად ორი გუნდი — „ქობულეთი“ და თსუ ებრძოდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ ყველაფერი ზღვისპირელთა სასარგებლოდ დასრულდა. მათ სტუმრად 1:0 სძლიეს უმაღლეს ლიგაში უკვე აღზევებულ „მილანს“ და თსუ-ს „ლოკომოტივი 3“-თან გამარჯვებას აზრი დაუკარგეს.

ამგვარად, გასარკვევი ერთიღა დარჩა: „გორდა“ თუ „ქობულეთი“?

გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციაში გვაცნობეს, რომ ამ შეკითხვას გუნდები პასუხს გორში, ცენტრალურ სტადიონზე გასცემენ. მატჩი 28 მაისს 17.30 საათზე დაიწყება.

აქვე გავიხსენოთ, რომ ამავე სტადიონმა ერთხელ უკვე უმასპინძლა მსგავს შეხვედრას. 1999 წელს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩში თბილისის „დინამო 2“-მა მაშინდელ „ღარწყალს“ აჯობა მატჩისშემდგომი პენალტების სერიით — 4:2, ძირითადი და დამატებითი დრო კი ფრედ 1:1 დასრულდა.

**ტახა შალამბერიძე**

*მეცამეტე ეროვნული ფოთის „კოლხეთმა“ მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა და კუთვნილი ევროპული საგზური თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“ დაუთმო. ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე ბელგიურ „ლოკერენს“ სწორედ ვეტერინარები დაუპირისპირდებიან.*

*ევროპულ სარბიელს ვინ ჩივის, ფოთიდან უარესი ამბები მოდის — კლუბის მთავარი სპონსორი ფოთის პორტი გუნდის დაფინანსებაზე უარს ამბობს, ქალაქის მერიაც ამ აზრზეა და გუნდი, ვინძლო დაიშალოსო.*

*ცხადია, დავინტერესდით. უპრიანი იქნებოდა, ფოთის „კოლხეთის“ პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილის მოსაზრებას გავცნობოდით, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, თუმც არც გუნდის ვიცე-პრეზიდენტ თენგიზ ქორიავას ნაუბარი იქნება უინტერესო*

# ევროპაში რაღა გვინდა? ჩვენ სირცხვილი აღარ გვინდა!

**— ინტერტოტოზე თამაში რომ იუარეთ, ამას ფედერაციაში გაგზავნილი ოფიციალური წერილიც მოწმობს. ჩვენ კი გავიგეთ, „კოლხეთი“ იშლებაო, მართალია?**

— ტყუილია! „კოლხეთი“ არ დაიშლება. თუ ოდესმე ასე მოხდა, მერწმუნეთ, აქ არავინ გაგვაჩერებს.

**— პორტი და მერია უარს ამბობენ დაფინანსებაზეო?**

— არ არის ასე. ფოთის პორტი სახელმწიფო საწარმოა, რომელიც კვლავაც იქნება მთავარი სპონსორი, თუმც მარტო პორტი ყველაფერს ვერ აუვა. ახლა ვცდილობთ, სხვა ინვესტორები მოვიზიდოთ. არ გამოვრიცხავ, ისეთი ბიზნესმენიც გამოჩნდეს, რომელსაც უპირველესად ფეხბურთი და, ცხადია, „კოლხეთი“ ეყვარება. თავის მხრივ, ქალაქის მერიაც კეთილადაა განწყობილი. ასე რომ, „კოლხეთს“ დაშლის საფრთხე არ ემუქრება.

**— კლუბის პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილს ამის თაობაზე თუ ესაუბრეთ?**

— ცხადია, გვქონდა ლაპარაკი. მასთან შეუთანხმებლად ვერაფერს მოვახერხებთ. მართალია, გუნდისთვის ხშირად ვერ იცლის, მაგრამ ბატონი ჯემალი ყველაფრის საქმის კურსშია. თავადვე ამბობს, რომ „კოლხეთი“ არ დაიშლება.

**— კეთილი. ბატონო თენგიზ, მაინც გკითხავთ, უარის თქმის ნამდვილი მიზეზი მართლა უსახსრობა იყო?**

— დიახ, უსახსრობა. ბელგიაში წასვლა-წამოსვლის ხარჯები გვირჩევნია, გუნდს მოვახმაროთ. ჩვენი სტადიონი ევროპულ სტანდარტებს დღეს ვერ აკმაყოფილებს, გასახდელები, საშხაპეები, თანაც...

**— თანაც?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, „კოლხეთი“ დღეს ნამდვილად არაა ის გუნდი, თუნდაც ერთი ეტაპი დაძლიოს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

**გიორგი ვაჩაძიძე**

# იებოა წავა და... ჩამოვა?

**გუშინ**, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, „დინამოში“ გასინჯვაზე მიწვეული ნიგერიელი ფეხბურთელი ენტონი იებოა ორიოდ წუთით სასაუბროდ შევაყოვნეთ. ტანდაბალი ზანგი ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა და ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზეც ალალად და ხალისიანად გვიპასუხა.

**— აქ ჩამოსვლამდე სად თამაშობდით?**

— გერმანიის მესამე ბუნდესლიგის კლუბში.

**— თქვენსა და „დინამოს“ ურთიერთობაზე რას გვეტყვით?**

— აქ ყველაფერი მაღალ დონეზეა. ფეხბურთელები, მწვრთნელები, გუნდის მომსახურე პერსონალი — ყველა თავის საქმის პროფესიონალია. ჯერჯერობით, რაც „დინამოსთან“ ერთად ვვარჯიშობ, ჩემზე აუგი არავის უთქვამს. ყველა მაქებს და მამხნევებს.

**— ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ დინამოელი გახდებით?**

— ეს ჯერ არაა გადაწყვეტილი. ყველაფერი ხვალ გაირკვევა, კლუბის ხელმძღვანელობა გადამწყვეტ პასუხს იტყვის. მე კი დღეს გერმანიაში მივემგზავრები. თუ დადებითი პასუხი იქნება, თბილისში მალე დავბრუნდები, თუ არა და...

**ირაკლი ბერტაია**





თურქებმა ქისას თავი მოხსნეს და არიელ ორტეგას და ფარიდ მონდრაგონს ფული დაახარჯეს

# აზიზმა და არიელმა სტამბოლის კარი არიეს

**თურქებს** ფული და ამბიცია მოსჭარბებიათ. სტამბოლური კლუბები „გალათასარაი“, „ფენერბაჰჩე“ და „ბეშიქთაში“ ერთურთს გაჩენის დღიდან ვერ იტანენ. განსაკუთრებით „გალათასარაის“ მოგებულმა უეფას თასმა დაუკარგა დანარჩენ ორს მოსვენება. „გალა“ რაღაცით მოსკოვის სპარტაკისებურ „სახალხო გუნდს“ დაემსგავსა. მიუხედავად ამისა, ოფიციალურად, 60-მილიონიან თურქეთში „ფენერბაჰჩეს“ სხვებზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს.

ორიოდ კვირის წინ „ფენერის“ მსტოვრები სამხრეთ ამერიკის გზას დაადგნენ. გუნდის პრეზიდენტმა აზიზ ილდირიმმა შემადგენლობის გაძლიერება და სტამბოლურ სამეულში გაპირველება ამოიჭრა გულში. საამისოდ ილდირიმმა ქისა გახსნა და მოლაპარაკების მაგიდაზე მილიონები დაახვავა. „ფენერბაჰჩეს“ პირველი შენაძენი ბრაზილიელი ვაშინგტონი გახდა, რომელმაც ახალ კლუბთან კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი. მაშინ თურქებს „რივერ პლეიტიდან“ არიელ ორტეგას გადაბირებაც სურდათ, თუმცა პირველ ცდაზე ხელი მოეცარათ.

გუშინ კი ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ არგენტინელი ფეხბურთელი სამი წლით „ფენერბაჰჩეს“ საკუთრებაა. ორტეგას სანაცვლოდ კლუბმა 7 მილიონ 500 ათასი დოლარი გაიღო. ამ თანხიდან ორნახევარი მილიონი იტალიურმა „პარმამ“ მიიღო. გეხსომებათ, არიელ ორტეგას იტალიაშიც გაუგორებია ბურთი.

„ფენერბაჰჩეს“ სატრანსფერო საქმეთა უსტაბაშმა სადეთინ სარანმა გულშემატკივრები დაამშვიდა, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე მოითმინეთ და არგენტინელს ცოცხლად მერე იხილავთო. სამი წლის განმავლობაში ფეხბურთელი ექვს მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს.

აზიზ ილდირიმი ამას არ დაყაბულდა. ორტეგამ ეულად არ იგრძნოს თავიო და თანამემამულესაც შეუამხანაგებენ. სადეთინ სარანი პარმაშია და მატიას ალმეიდას გადაბირებასაც ცდილობს. როგორც თურქები იფიცებიან, ალმეიდას ამბავი უკვე გაჩარხულია, მომავალ კვირაში კი კონტრაქტზე მისი ხელმოწერაც გაჩნდება.

მოქიშპე თანაქალაქელთა ბანაკში „ფენერბაჰჩეს“ გაძლიერებამ ნემსის ჩხვლეტასავით იმოქმედა.

მირჩა ლუჩესკუმ, „ბეშიქთაშიდან“ წასული კრისტოფ დაუმის ადგილი რომ მოიხელთა და სარფიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი, ახალი ფეხბურთელების მიყვანა განიზრახა. პირველ რიგში, ძველი ნაცნობი ფარიდ მონდრაგონი მოიკითხა. მოგეხსენებათ, მონდრაგონი შარშან „გალათასარაიში“ „მეციდან“ გადავიდა. ისიც გეხსომებათ, კოლუმბიელ მეკარეს საფრანგეთში გაყალბებულ პასპორტთან დაკავშირებული პრობლემა შეექმნა. სასამართლომ მას ორი წლით ქვეყანაში ყოფნა აუკრძალა. მონდრაგონსაც სტამბოლის ტუზი დაეცა, იქ იჯარით გადავიდა და „გალას“ ქომაგებმა ძალიან შეიყვარეს.

„ბეშიქთაშის“ მესვეურებმა კი ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ „გალათასარაისთან“ ურთიერთობაში კიდევ ერთი ბზარი გაეჩინათ. დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა იბრაჰიმ ალთინსაიმ მეტოქეს წინ გადაურბინა და მეცში ამოყო თავი. იქ მან ფრანგებს 2 მილიონ 750 ათასი დოლარი დაუდო. მეცელებმაც, რომლებმაც მონდრაგონის სანაცვლოდ „გალათასარაისგან“ ვერაფერით იხეირხეს (მეკარის საფასური შარშან უნდა მიეღოთ), ფული ნახეს და თანხმობაც განაცხადეს. მოკლედ ფარიდ მონდრაგონი სამი წლით ბეშიქთაშელია და წელიწადში მილიონ 250 ათას დოლარსაც მიითვლის.

ამ ორომტრიალში ერთი საინტერესო ამბავიც გამოიქექა. ფატიჰ თერიმმა „შავი არწივის“ („ბეშიქთაშის“ მეტსახელია) ემისრის საფრანგეთში ვიზიტი რომ შეიტყო... ადრიანო გალიანის დაურეკა. გალიანი „მეცის“ პრეზიდენტს დაუკავშირდა და სთხოვა, კოლუმბიელი „ბეშიქთაშს“ არ გაატანოთო. ფრანგი გაოცებულა, მაგრამ გალიანისთვის აუხსნია, „გალათასარაისგან“ კუთვნილი ვერ მივიღეთო.

ასე აღმოჩნდა მონდრაგონი მეორე სტამბოლურ კლუბში და ძველ გუნდთან პირველივე შეხვედრაში სულ ცოტა, სტვენას დაიმსახურებს. ფიგუს ამბავი ხომ გახსოვთ?!

**გაჩა ხუციშვილი**



— შეგიძლიათ, თქვათ, რომ თქვენ ყველაფერს მიაღწიეთ, რისი მიღწევაც გსურდათ?

— სამწუხაროდ, არა. შემეძლო, უკეთესად მეთამაშა, ხოლო „ბოკაში“ ხეირიანი ვერაფერი შევძელი.

# ბალბომ მესიობა ვერ გასწია

*იტალიურ ჩემპიონატში ქიპმოჭრილი 35 წლის არგენტინელი აბელ ბალბო, შუა სეზონში „რომადან“ სამშობლოს გაეშურა „ბოკა ხუნიორსის“ შემადგენლობაში ლიბერტადორესის თასის მოსაგებად. ოცნებას ახდენა არ ეწერა და ბალბოც კვლავ მარადიულ ქალაქში დაბრუნდა.*

**— იმედგაცრუებული ხართ?**

— მწყინს, რომ „ბოკას“ ვერაფრით დავეხმარე, ერთი გოლი მაინც რომ გამეტანა...

**— თვლით, რომ ეს დროებითი ჩავარდნაა?**

— მე თავიდანვე ვთქვი, რომ არგენტინაში მესიად არ დავბრუნებულვარ...

**— კარიერის დასრულებას აპირებთ თუ ისევ ფეხბურთელობაზე ფიქრობთ?**

— კარგ ფორმაში ვარ. 35 წლისას თამაში თუ გინდა, უნდა ეცადო, მოტივაცია არ დაკარგო.

**— „ბოკაში“ თქვენი დაბრუნება შესაძლებელია?**

— ჩემთვის კარი ყოველთვის ღიაა, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, თუმც...

**— თუმც?-**

— ბუენოს აირესში ცხოვრება შეუძლებელია. იქ უკიდურესად დაძაბული ვითარებაა.

**— ესე იგი, არ დაბრუნდებით?**

— არ ვიცი. თუ დავბრუნდი, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ „ბოკაში“ ვითამაშებ.

**— ხომ არ ნანობთ, რომ უფრო ადრე არ დაბრუნდით „ბოკა ხუნიორსში“?**

— არა, რადგან მაშინ ეს პერსპექტივა არ მხიბლავდა.

**— მწვრთნელად კარლოს ბიანკის ყოფნის გამო?**

— ბიანკიმ მაშინ განაცხადა: თუ ბალბოს „ბოკაში“ თამაში სურს, მოვიდეს, მაგრამ ვაფრთხილებ, თავდაუზოგავად უნდა ივარჯიშოს, რათა ძირითად შემადგენლობაში მოიპოვოს ადგილი. მე ვიფიქრე ამაზე და გადავწყვიტე, ევროპაში დავრჩენილიყავი.

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

წუხელ, ტოკიოში, ტელეკომპანია „ხარაკირი TV“-ს პოპულარულმა წამყვანმა აკაკი ავაზაკიმ მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ ტოკ-შოუში ლეგენდარული (ინგლისური ფეხბურთის ქომაგებთან დიდი ბოდიში, ბობი ჩარლტონზე არ არის ლაპარაკი) პელე და დიეგო მარადონა გამოიყვანა. გადაცემაში მონაწილეობდა ოცდაათამდე გეიშაც, რომლებიც ძირითადად პელესთვის ახალ-ახალი ჭიქა „პელეს“ და მარადონასთვის ახალ-ახალი ფუთა კოკაინის მიტანით იყვნენ დაკავებულნი. დინამიკებიდან ილვრებოდა კლასიკური იაპონური მელოდია: ტლინკ-ტლინკ-ტლინკ, ხოლო მაყურებლებისთვის გამოყოფილი იყო სატელეფონო ხაზი: 82176531278910236743210 — ხაზი გამოყოფილი იყო პირდაპირ ტელევიზორიდან.

აკაკი ავაზაკიმ, ბუნებრივია, შესავლით დაიწყო და, ალბათ, ბევრიც იხუმრა, რადგან მის ლაპარაკს ხშირად ერთვოდა ჩაწერილი „ჰა-ჰა-ჰა“, ხოლო ყოველი საჰაჰაჰე მომენტის წინ წამყვანი აკეთებდა მოხერხებულ პაუზას, უბრწყინავდა თვალები და ამბობდა იაპონურ სიტყვას „ბეკემ“, რომლის მნიშვნელობაზეც ჩვენ, ცხადია, ვერაფერს მოგახსენებთ.

იყო ვიქტორინაც: ეკრანზე დაიხატა მამაკაცის მელოტი თხემი, ხოლო მაყურებელს უნდა გამოეცნო მისი პატრონი. ინტერაქტივში მონაწილეთა 88 პროცენტმა თქვა, რომ თხემი ეკუთვნის ფრანგ კომიკოს ლუი დე ფიუნესს, ექვსმა პროცენტმა ხმა მისცა საბჭოთა კავშირის ბოლო ლიდერსა და პერესტროიკის მამას მიხეილ გორბაჩოვს, ხოლო ამდენივემ ტერორისტ ოსამა ბინ ლადენს, რომელიც მართალია, მელოტი არ უნდა იყოს, მაგრამ იაპონელი ფსიქოლოგების განმარტებით, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ქვეყნის დემოკრატიულად მოაზროვნე ნაწილი, გაეროს დადგენილების თანახმად, მხოლოდ მასზე ფიქრობს და ეს პასუხი მოსალოდნელიც გახლდათ.

ერთადერთი ადამიანი, ვინც ვიქტორინის კითხვას სწორად უპასუხა, იყო გერმანიის მავანი მოქალაქე ჰერ კლაუს ტოპმიოლერი, რომელმაც მელოტი თხემის პატრონად ფრანგი მობურთალი ზინედინ ზიდანი დაასახელა.

ახლა კი გთავაზობთ აკაკი ავაზაკის და ლეგენდების საუბრის შემოკლებულ ვარიანტს:

ავაზაკი: როგორ ფიქრობთ, ვინ გავა ნახევარფინალში?

პელე: საფრანგეთი, ბრაზილია, ინგლისი და საფრანგეთი.

მარადონა: არგენტინა, ესპანეთი, იტალია და... მეოთხეს ვერ გეტყვით, ალბათ, მაინც თურქეთი, რომელიც ჯგუფში ბრაზილიას ჩატოვებს.

ავაზაკი: ვინ, რომელი ფეხბურთელი გაიბრწყინებს ჩვენს სტადიონებზე?

პელე: მე პატივს ვცემ კრუიფს, ბობი ჩარლტონს, ფრანც ბეკენბაუერს და პლატინისაც.

მარადონა: დღევანდელ მსოფლიოში, ათი-თხუთმეტი წლის წინანდელისგან განსხვავებით, ბევრი ერთნაირი ფეხბურთელია, თუმცა მათ შორის ვერონი გამოირჩევა... კიდევ, ბატისტუტა და კლაუდიო ლოპესი. ისე კი, ავაზაკი-სან, უნდა გითხრათ, რომ მე ვერ გამიგეს, თორემ ცხოვრებაში სხვა ამბავი უნდა ყოფილიყო, რომელიც გაგების გამო სხვანაირად რომ ვერ გამოვიდა და ესე იგი აველანჟი...

ავაზაკი: ვინ?

პელე: რას ჰქვია ვინ. მე!

ავაზაკი: არა, სხვა რამეს ვკითხულობ...

მარადონა (ტირის): მე რომ კაიფში ვიყავი და იმათ რომ ვერ გამიგეს და თასი რომ სხვას მისცეს და დოპინგზე კოლბაში ჩემს მაგივრად რომ ჩააფს...

ავაზაკი: დაწყნარდით, დიეგო-სან. თქვენ სატირალი რა გაქვთ, თქვენ ხომ უდიდესი...

პელე: უდიდესი? გმადლობთ, გმადლობთ, მართალი ბრძანდებით, ოღონდ მე პატივს ვცემ, ბობი ჩარლტ...

ავაზაკი: არა, პელე-სან, მე სხვა რამეს ვამბობ.

მარადონა (სტუდიაში შემოსულ მეუღლეს მხარზე თავს ადებს და ქვითინს აძლიერებს): აი, სხვა რამეშია სწორედ საქმე, თორემ მე რომ ჩემებურად ჩემი გზა გავიარე, გასატანი მაინც ხომ უნდა გამეტანა... აველანჟი...

პელე: დიახ, მახსოვს, როგორ გავიტანე. მაშინ თორმეტი წლის და ოცდასამი წუთის ვიყავი.

ავაზაკი: რეკლამა. სანებო!

...ეკრანზე გამოდის დევიდ ბექემი და გოძილას პეპსი-კოლას ქილით ფინტს უკეთებს.

**ბაჩუნა ძიდია**

მექრთამეებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 6 დღე

წლეულს ნაკრებთა სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადები ისტორიაში ყველაზე ვრცელია. მოგეხსენებათ, თითოეული ნაკრების მწვრთნელს ოფიციალურ განაცხადში ადრე დადგენილი 22-ის ნაცვლად 23 ფეხბურთელის შეყვანა შეეძლო, ასე რომ, ჯამში კორეა-იაპონიაში 736 მოთამაშე ჩავა.

თუმცა პრობლემებიც გაჩნდა. მაგალითად, ირლანდიელებს უკვე შეტანილი აქვთ განაცხადი, რომელშიც მეექვსე ნომრად კაპიტანი როი კინი უწერიათ, მაგრამ კინი ნაკრებიდან მოკვეთეს, ხოლო დებულების თანახმად, მოთამაშის შეცვლა მხოლოდ ტრავმის ან ავადმყოფობის მიზეზით შეიძლება. მაგალითად, ლივერპულელი დენი მერფი იმიტომ მოხვდა ინგლისელთა შემადგენლობაში, რომ მისი თანაგუნდელი სტივენ ჯერარდი მძიმედ დაშავდა, მაგრამ მერე მერფიმ ფეხი მოიტეხა და მის მაგიერ ვესტჰემელი ტრევორ სინკლერი გამოიძახეს. ამიტომ, წესით, კინის შეცვლა არ შეიძლება და ირლანდიელებს კაცნაკლულებს მოუწევთ შეჯიბრებაში ჩაბმა.

სხვა საგანაცხადო ამბებიდან საინტერესოა, რომ არგენტინელებს დიეგო მარადონას საპატივცემულოდ მე-10 ნომერი არ ეყოლებათ და შედეგად მეკარე რობერტო ბონანო 24-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე ჩემპიონატზე რუსთა კარის 38 წლის დარაჯი სტანისლავ ჩერჩესოვი იქნება, ხოლო უმრწმესი 17 წლის ნიგერიელი ბართოლომეუ ოგბეჩე.

ფიფას ვერსიით, ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი საუდელთა მეკარე მოჰამედ ალ-დეაია ყოფილა, ვისაც ეროვნული გუნდის მაისურა 168-ჯერ მოურგია. ჩემპიონატზე ის 12 მოთამაშიდან ერთ-ერთია, ვისაც ნაკრებში 100-ზე მეტჯერ უთამაშია.

კორეა-იაპონიაში 12 მსოფლიოს ჩემპიონიც გავა მოედანზე. აქედან 11 ფრანგია და ერთიც ბრაზილიელი კაფუ, ვისაც ფიფას თასი 1994-ში აღუმართავს.

# შენ ხარ, სულელი!

## ირლანდიამ როი კინი ანათემას გადასცა



როი კინს მიკ მაკარტიმ ირლანდიელობა დაუწუნა

### ირლანდია

**ირლანდიელი** ქომაგები, ამ დღეებში, ტელეფონებს მიაწყდნენ. ისინი რეკავდნენ სატელევიზიო თუ რადიო ტოკ-შოუებში, რათა აღშფოთება გამოეთქვათ. ვისი მისამართით? რა თქმა უნდა, მათი ნაკრების და „მანჩესტერ იუნაიტედის" ბობოლა კაპიტნის როი კინის მისამართით.

მოგახსენებთ ცნობას, რომელიც გუშინწინ საღამოს მოედო მსოფლიოს: ირლანდიის ნაკრების ბანაკში უთანხმოებაა. მწვრთნელ მიკ მაკარტისა და კაპიტან როი კინს შელაპარაკება მოუვიდათ, რის გამოც როი კინ გუნდიდან გააგდეს.

ირლანდიურ რადიოს აქვს ასეთი პროგრამა შოუ, სადაც რეკავენ. და იქ იმ დღეს მართლაც რეკავდნენ და რეკავდნენ. ერთ საათში თითქმის 10 ათასმა მსმენელმა დარეკა, რომელთა 86 პროცენტი კინის წინააღმდეგ გამოვიდა.

ტიპიური გამოსვლები: „იცით, რას გეტყვით?.. იმის შემდეგ, რაც მან გააკეთა, მის ადგილზე ყოფნა შემრცხვებოდა..."

„ფეხბურთის თვალსაზრისით, მან სასიკვდილო განაჩენს მოაწერა ხელი. პრობლემები თუ ჰქონდა, შინ უნდა დაეტოვებინა. მიკი სწორად მოიქცა, რომ გამოაგდო. როი კინი ირლანდიელი აღარ არის!"

კი მაგრამ, რა ბზიკმა უკბინა აქამდე გმირთაგმირად შერაცხულ ბრიტანელს? როგორც ირკვევა მას ნაკრების ესპანური შეკრების დროს, წყნარი ოკეანის პირა ინფრასტრუქტურა არ მოსწონებია. ეს რა ცუდ მინდვრებზე გვავარჯიშებთო და გუნდურ თათბირზე მწვრთნელი გამოუთათხავს. მწვრთნელიც ამდგარა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ბურჯისთვის კარისკენ ან უფრო ზუსტად, მანჩესტერში წამოჭიმული უმდიდრულესი სახლისკენ მიუთითებია.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ტოკ-შოუების მონაწილეთა უდიდესმა უმრავლესობამ კინი სასტიკად გააკრიტიკა. თუმცა მოდით, მის მხარდამჭერთა აზრებსაც გავეცნოთ. აქვე დავძინოთ, რომ მხარდამჭერებმა უფრო „მანჩესტერ იუნაიტედის" ვებ-გვერდზე გაბედეს საყვარელი ფეხბურთელის გამხნევება.

„კინი მწვანემაისურიანთა შორის საუკეთესო და ღირსეულია. ის ლიდერია. თუ მაკარტი ფეხბურთელებს ჯერ აზრს ეკითხება, შემდეგ კი გუნდიდან აგდებს, მოსახსნელი ყოფილა".

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, მხარდამჭერნი ძალიან ცოტანი არიან. ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ კი, მაგალითად, ფეხბურთელს სულელი უწოდა. მან თქვა, რომ ის შეზღუდული გონება და წვრილმანი ოცნებები აქვს, რადგან არ ესმის, რომ დედამიწაზე მილიონობით ფეხბურთელია, რომლებიც ოღონდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდნენ და იაპონიასა თუ კორეაში პირდაპირ ქუჩაში დაიძინებდნენო.

ამავე თემას მიეძღვნა, ფაქტობრივად, ყველა წამყვანი ირლანდიური გაზეთის პირველი გვერდი. „აირიშ ინდეპენდიენტი" წერდა, რომ კინს ვერაფერი გაამართლებს, ხოლო მაკარტი მართალია, რადგან მწვრთნელმა უნდა გაწვრთნას!

**ბაჩუნა ძიძია**

# აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ

## ტრევორ სინკლერს თვითმფრინავი დაეზედა



ტრევორ სინკლერი

### ინგლისი

**შაყირი** არ გეგონოთ და, სვენ გორან ერიკსონმა ინგლისიდან ... ტრევორ სინკლერი გამოიძახა.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელს სინკლერი დაშავებული კირონ დაიერის შემცვლელად ეგულებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის მომჯობინების საქმე ადგილიდან დაიძრა და შვედმა სინკლერი დაითხოვა. ამაზე ადრე ვწერდით.

გუშინ კი გაუწყეთ, რომ ვარჯიშისას დენი მერფი დაშავდა და სარენტგენო შეიქნა, შვედ თავკაცს კი კვლავ სინკლერი გაახსენდა. მაგრამ უკვე სინკლერს აღარ ეცალა — ექვსი თვის ფეხმძიმე ცოლი ავად გახდომია და, ვერ მივატოვებო. შესაბამისად, ერიკსონმა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან გავარდნილი შემადგენლობიდან დაიწყო საჭირო კაცის არჩევაზე ფიქრი.

ბოლო ცნობა ასეთია: დენი მერფის ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა, ხოლო სინკლერის ცოლის ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება და ფეხბურთელიც დამშვიდებული სინდისით გამოეხმაურა ერიკსონისგან მეორედ მიწვევას. ერთი სიტყვით, ლონდონში სულ რაღაც სამი დღის ჩასულ სინკლერს ისევ აღმოსავლეთისკენ მოუწია აბარგება.

„მას ძალიან გაუხარდა დაბრუნება — განაცხადა ერიკსონმა და ინგლისური კლუბების გადატვირთულ კალენდარსაც გადასწვდა — ჩვენ ევროპაში ყველაზე მეტს ვთამაშობთ, შედეგიც სახეზეა. ამას ვამბობდი და კვლავაც გავიმეორებ, სეზონში ამდენი მატჩის ჩატარება გუნდზე ცუდად მოქმედებს, ფეხბურთელები ან გადაღლილები არიან, ანაც დაშავებულები".

ტრავმის გამო ინგლისს უკვე სამი ფეხბურთელი დააკლდა — გარი ნევილი, სტივენ ჯერარდი და სწორედ ჯერარდის ნაცვლად მიწვეული დენი მერფი.

ამათ გარდა დევიდ ბექემი, ნიკი ბათი და კირონ დაიერი ტრავმებს ებრძვიან. თუმცა შვედს, ყოველი შემთხვევისთვის, მათი შემცვლელებიც ჰყავს შეგულებული. თუ ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები დროულად ვერ გამოჯანმრთელდნენ, ნაკრებს დევიდ დანი და ალან სმიტი შეუერთდებიან. ერიკსონი ამ არჩევანს, სმიტისა და დანის 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე თამაშით ხსნის — სჯობს, იმ ფეხბურთელებმა ითამაშონ, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა აქვთ, ხოლო რეი პარლოუს მოხმობა (საჭიროების შემთხვევაში მის მიწვევაზეც იყო ლაპარაკი) ერიკსონს არასწორად მიაჩნია, პარლოუს რამდენიმე კვირის განმავლობაში არ უთამაშიაო.

**სერგი ძორიძე**

# მუხლი მე რას მიმუხთლებს



ირჟი დუდეკი

### პოლონეთი

**16-წლიანი** შესვენების შემდეგ პოლონეთს მსოფლიოს ჩემპიონატი კვლავ ეღირსა. გუნდმა შესარჩევი ეტაპი რიხით კი გაიარა, მაგრამ მერე ნელ-ნელა უკლო. ბოლო ამხანაგურ მატჩში, ესტონეთთან, მინიმალური სხვაობით მოიგო და გუნებაც ოდნავ გამოუკეთდა, თუმცა ქომაგთა გულები მაინც ვერ მოიგო.

ესტონელებთან შეხვედრაში მუხლის ტრავმის გამო ვერ ითამაშა ნაკრების მთავარმა მეკარე ირჟი დუდეკმა. ცხადია, მწვრთნელ-გულშემატკივარს უსიამოვნო ამბის მოლოდინში გულიც აუფანცქალდათ, მაგრამ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. „საშიში არაფერია, თავს კარგად ვგრძნობ და სათამაშო ფორმაშიც ვარ" — თქვა გახარებულმა დუდეკმა.

პოლონელთა პირველი მეტოქე მასპინძელი სამხრეთ კორეა იქნება. გუს ჰიდინკის თვალვიწრო მოწაფეები ბურთაობაში საკმაოდ გაიწაფნენ და ამ ამბავს ირჟი დუდეკი სერიოზულად უდგება: „ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კორეელები გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. ამიტომ ამ ერთობ პატივსაცემ მეტოქესთან სიფრთხილე გვმართებს."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ალბათ, მაინც ბატისტუტა

## გაბრიელ ომარმა ერნან კრესპოს პოკერი ეთამაშა

### არგენტინა

**მარსელო ბიელსას** რომ პრობლემები აქვს, ბევრი მწვრთნელი ინატრებდა. ჯერ ხომ იმაზე იმტვრია თავი, უამრავი კარგი ფეხბურთელიდან ოცდასამი საუკეთესო როგორ შეერჩია და საბოლოოდ, მოგეხსენებათ, ხავიერ სავიოლა, ხუან რომან რიკელმე და სანტიაგო სოლარი ნაკრებს მიღმა დატოვა. ახლა კი ბიელსას იმაზე მოუხდა ფიქრი, ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვინ ათამაშოს. არჩევანი ორ სუპერვარსკვლავს — ერნან კრესპოსა და გაბრიელ ომარ ბატისტუტას აქვს შორის გასაკეთებელი.

„მათი შედარება საკმაოდ რთულია — აღიარა ბიელსამ — ორივე უმაღლესი კლასის თავდამსხმელია, თუმც კრესპოს ფლანგებზე და ცენტრიდან თამაში ბატისტუტაზე მეტად ეხერხება, გაბრიელი კი უფრო საჯარიმო მოედნის ფეხბურთელია".

იაპონურ კლუბ „კაშიმა ანთლერსთან" გუშინწინდელი ამხანაგური მატჩიც კრესპო — ბატისტუტას დუელად იქცა. პირველ ტაიმში კრესპომ ითამაშა ცენტრფორვარდად პოზიციაზე, მეორეში — ბატისტუტამ.

„ბატიგოლმა" ამ დუელში აშკარად გაიმარჯვა. პირველ ტაიმში პოჩეტინოს გატანილ გოლს მან პოკერი დაუმატა და მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტებმა 5:1 მოიგეს.



გაბრიელ ბატისტუტას კაშიმელებმა შანსი მისცეს

„ორივეს ცენტრფორვარდობა გუნდს არ წაადგება, რომელიმეს უკან თამაში მოუწევს და თუ რომელს, ჯერაც ვერ გადამიწყვეტია" — განაცხადა მატჩის შემდეგ ბიელსამ. თუმცა ბატისტუტას ოთხი გოლის გათვალისწინებით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა თავდასხმის ცენტრალური ფიგურა, ალბათ, მაინც ის იქნება.

**სერგი ძორიძე**

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 6 დღე



REUTERS

ბენი მაკკარტიმ ბიულენთი ფეხზე არ დააყენა

# აი, ამას აღარ გაპატიებ!

## გიუნეშს ტაიფუნი დაემუქრა

### ცუდი მოცემპავმებისთვის ბურთი დაბმერცხდა

### ს. აფრიკა

### თურქეთი

**სამხრეთ აფრიკა 2:0 თურქეთი**

1:0, 2:0 მაკკარტი (58, 90)

ს. აფრიკა: არენდსე, ნზამა (მოლეფე 12), კარნელი, მნგომენი (სიბაია 56), მნგუნი, ისა, ნომვეტე (მაკკარტი 57), ბაკლი (ფორჩუნი 76), რადებე, პიენაარი (ზუმა 57), კუმანტარაკისი

თურქეთი: რუშთუ (ომერი 81), უმით დავალა (ბიულენთი 45), უმით ოზატი, ალფაი (ემრე ასიქი 85), ოკანი (ილჰანი 45), თუგაი (ტაიფური 69), ჰაქან შუქური, ჰაქან უნსალი (აბდულა 45), ერგუნი (არიფი 45), ფათიჰი (ნიჰატი 69), ბაშთურქი (იზეტი 55)

**ჰონკონგში** სამთა ტურნირი დასრულდა. ერთმანეთს მასპინძლები, თურქეთისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებები შეებნენ. ჰონკონგელები მუნდიალისტებთან შეხვედრებში დამარცხდნენ. ფინალი კი სტუმრებმა ითამაშეს.

თურქთა მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა ოპტიმალურ თამაშს ჯერაც ვერ მიაგნო. განსაკუთრებით დაცვაში აქვს პრობლემები. ფეხბურთელებს სათითაოდ არ უშავთ, მაგრამ ვერ და ვერ შეთამაშდნენ. გაშვებული ორი გოლიც სწორედ უკანახაზელთა უსუსურობის ბრალია.

პირველ ტაიმში ოსმალები აქტიურობდნენ. „ბოსფორის ბულას“ (ჰაქან შუქური) რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდა, თუმც ბურთი რქებში ებლანდებოდა.

აფრიკელები მშვიდად იყვნენ საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრებულნი და იშვიათი, მაგრამ მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. დაცვას ლუკას რადებე მართავდა და საკმაოდ საიმედოდაც.

მეორე ტაიმში იომო სონომ ორი წარმატებული ცვლილება გააკეთა, რასაც გიუნეშზე ვერ ვიტყვით.

თამაში ბენი მაკკარტიმ და სიბუსისო ზუმამ მოიგეს. პირველი გოლი მაკკარტიმ მოედანზე შესვლიდან ერთ წუთში შეაგდო. საგოლე პასი მას იმავე დროს შესულმა ზუმამ მიართვა. ზუმა, მაკკარტისთან ერთად, ყველაზე მეტად გამოირჩეოდა. კუმანტარაკისიც სახიფათოდ იჩხვლიტებოდა, რომელსაც ერთ მომენტში ბიულენთმა მაისურაც კი შემოაფხრიწა.

გასათანაბრებლად მოწადინებულ თურქებს მაკკარტიმ ბოლო წუთზე ყველა შანსი მოუსპო. საჯარიმოს წინა ხაზთან მცველებსაც დაუსხლტა და მეკარეც მოძრაობაზე დაიჭირა.

შენოლ გიუნეში მარცხმა არ დააღონა: „წავაგეთ, მაგრამ სანერვიულო არაფერია. ბიჭები აზიურ კლიმატს ჯერაც ვერ მიეჩვივნენ. კარგია, რომ ბლომად მომენტები შევქმენით. ვფიქრობ, დარჩენილ დროში ფორვარდები მიზანს გაისწორებენ. ამ მარცხმა ჩვენს განწყობაზე არ უნდა იმოქმედოს. მერწმუნეთ, ბრაზილიასთან მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით“.

თურქთა უმთავრესი პრობლემა დროში სხვაობაა. ვერ გაუგიათ, როდის დაიძინონ და როდის ჭამონ, ნოტიო ჰავასაც ემდურიან.

ცალკე თემაა ბურთი, რომლის თაობაზეც უკვე ბევრმა ფეხბურთელმა გამოთქვა აზრი. თურქ ფეხბურთელთა უმეტესობამ დაიწუწუნა, რომ „ფევერნოვა“ (ბურთის სახელია) უცნაურად მოძრაობს და ჯერ ვერ მიეჩვივნენ. მეკარემ კი დაამატა — მასში თეთრი ფერების ნაკლებობააო. აქვე დავძინოთ, რომ ბურთის გამო პრეტენზიები ბელგიელებსაც აქვთ და სლოვენიელ ზლატკო ზაჰოვიჩსაც. ზლატკოს უთქვამს, ასეთი სულელური ბურთი არსად შემხვედრიაო.

თავის მხრივ რაული, ბექემი და ზიდანი პირიქით ჩვენებაზე დგანან — „ფევერნოვა“ დიდებულიაო.

რადგან პრეტენზიები ვახსენეთ, ბარემ ერთსაც გეტყვით. აზიაში ჩასული 27 ფეხბურთელიდან შენოლ გიუნეშმა 4 კაცი მუნდიალს მიღმა დატოვა. ერთ-ერთი მათგანი ტაიფუნ ქორქუთია. თურქული პრესა იუწყება, ფეხბურთელი ცეცხლს აფრქვევდაო: „გიუნეშმა გული დამიწვა და ცხოვრება ამირია. ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ნაკრების მიღმა დავრჩებოდი, მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ ნებისმიერის ოცნებაა. ამას ვერასოდეს ვაპატიებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ცისფერი ბიბლიოთეკა

### იტალია

**რა ვაკეთოთ?** იკითხეს იტალიელებმა თავისუფალი დროის აღმოჩენისას. დასასვენებლად რომ არ არიან წასულნი აზიაში, „სკუადრა აძურას“ ყველა ფეხბურთელმა იცის, მაგრამ მარტო მუშაობამ გრძელყურა ცხოველიც კი მოკლა.

რას აკეთებენ ტრაპატონის ცისფერმაისურიანები მაშინ, როცა არ ვარჯიშობენ? მაგალითად, ვინჩენცო მონტელას ერთი ხელი თავქვეშ ამოუდევს, მეორეში კი წიგნი უჭირავს. მონტელა იტალიაში საკმაოდ ცნობილი, ვინმე ბრაზილიელი მწერლის ნოველებს კითხულობს და რაკი კითხულობს, ცხადია, ძალიან მოსწონს.

ჯანლუიჯი ბუფონი კი, ეტყობა, სამეცადინოდ მომზადებულა. ბუფონს სახლიდან წიგნები მოუხვეტია (მთლიანობაში 3 ათასი გვერდი) და სულ თან გაუყოლებია. ჩემი ბიბლიოთეკა ჩემთან თუ არ იქნა, ვერ მოვისვენებო.

მათი შემყურე დამიანო ტომაზი კომპიუტერული თამაშებით თავის შექცევას როგორღა გაბედავდა, ისიც წიგნებს ჩაუჯდა.

პაოლო მალდინის კითხვაში თვალების დაღლას, მაგიდის ჩოგბურთი უჯობს. თუ ჩოგანი მიაგდო, მაშინ აუზში ჭყუმპალაობს და ამბობს, ჩვენ, იტალიელებს, ტექნიკური მიღწევებით გართობას ბუნებრივად დასვენება გვირჩევნია, კომპიუტერული თამაშები კი ჩემი პატარა ბიჭის საქმეაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



უმცროს მალდინს ტექნიკურად გართობა ჰყვარებია

### ბრაზილია

# ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო!

## ერს დავუკარგოთ ფერიო

**როგორც ჩანს,** ლუიშ ფელიპე სკოლარის ბრაზილიელი ერის რიცხვმრავლობა გულზე არ ეხატება და...

გუშინ ბრაზილიელებმა იაპონიიდან მორიგი, მათთვის თავზარდამცემი ამბავი გაიგეს და „დიდ ფილს“ სანაცვლოდ, უკვე მერამდენედ, შეურაცხმყოფელი ეპითეტები „გაუგზავნეს“.

მოგეხსენებათ, ბრაზილიის ნაკრები იაპონიაში დაბანაკდა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, კერძოდ, თურქეთთან ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩისთვის ემზადება. ჰოდა, მწვრთნელმა გუნდის გაწვრთნის ახალი მეთოდი შეიმუშავა — ფეხბურთელებს წარსულში უზომოდ პოპულარული როკ-ჯგუფის „ბი ჯიზის“ მელოდიების თანხლებით ავარჯიშებს. სკოლარის თქმით, ძმებ გიბების სიმღერები პირადად მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენს და თურქების წინააღმდეგ სათამაშო ტაქტიკის შერჩევაში ეხმარება.

— ჯერ კიდევ ვცდილობ, წარმოვიდგინო ჩემი გუნდის თამაშის სურათი — განაცხადა ბრაზილიელი ერის „პერსონა ნონ გრატამ“ — ამაში კი „ბი ჯიზის“ კომპოზიციები საუკეთესო პარტნიორობას მიწევს.

**ბაჩა შალამბერიძე**



ლუიშ ფელიპე სკოლარის კარგი გემოვნება ჰქონია

### რუსეთი

# რუსები მუნდიალზე ხმაურით ჩავიდნენ

**ნაკრებს** იაპონიაში ერთი დღით ადრე მოუწია გაფრენა. რუსების გეგმებში აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩაერია. მოგეხსენებათ, ბუში მოსკოვს სტუმრობს და დღეს სანკტ პეტერბურგში აპირებს გაფრენას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჰაერო გზა ჩაკეტილი იქნება. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, დღეს დილის ნაცვლად, რუსთა ნაკრები იაპონიაში გუშინ საღამოს გაფრინდა.

| 26.05.02 | 00.30 | 019 | 2:1სალამანკა; ლევანტე0:1; 2:0ლეგანესი სპორტინგი V ელჩე ხერესი2:1; სალამანკა2:0; 1:0ლევანტე | 2,4 | 2,6 | 2,9 | 1,2 | 1,3 | 1,35 | 0:0 | 0:1 1:1 | 3:1 1:0 | - |
| 26.05.02 | 00.30 | 020 | 1:0ლევანტე; ლეგანესი3:2; 0:1ფეროლი ბადახოსი V სალამანკა სპორტინგი1:2; 0:2ელჩე; 2:0ხერესი | 2,3 | 2,8 | 3,1 | 1,25 | 1,3 | 1,45 | 2:2 | 1:1 0:1 | 2:2 2:2 | - |
| 26.05.02 | 00.30 | 021 | 0:2ფეროლი; ებარი0:0; 0:1ხაენი ალბასეტე V ლევანტე ნუმანსია0:1; 2:3ბადახოსი; სპორტინგი0:2 | 2,2 | 1,8 | 3,3 | 1 | 1,3 | 1,15 | 2:1 | 0:0 0:0 | 0:0 0:1 | 0:0 0:0 |
| 26.05.02 | 00.30 | 022 | 1:2ებარი; ხაენი2:1; 1:0ბურგოსი კორდობა V ფეროლი ალბასეტე2:0; 0:4ნუმანსია; ბადახოსი1:0 | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 | 3:1 | 2:0 0:1 | - | - |
| 26.05.02 | 00.30 | 023 | 1:0ხაენი; ბურგოსი2:0; 0:0რასინგი ელჩე V ებარი კორდობა2:1; 0:0ალბასეტე; ნუმანსია2:0 | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 | 1:3 | 1:2 2:0 | 1:1 2:0 | - |
| 26.05.02 | 00.30 | 025 | 0:1რასინგი; ექსტრემადურა3:2; 3:2ოვიედო ატლეტიკო V ბურგოსი მურსია0:1; 0:2ელჩე; კორდობა0:1 | 1,55 | 3,2 | 4,7 | 1 | 1,15 | 1,9 | 4:0 | - | - | - |
| 26.05.02 | 00.30 | 029 | 1:2ელჩე; 1:2ხიმნასტიკი; სალამანკა0:2 ხერესი V ოვიედო ხიმნასტიკი0:2; 0:3ეხიდო; ატლეტიკო2:3 | 2,1 | 2,9 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,55 | 0:1 | - | - | - |
| 26.05.02 | | | 1:1ექსტრემადურა; ოვიედო3:0; 2:2ხიმნასტიკი ეხიდო V რასინგი ატლეტიკო1:0; 0:0მურსია; ელჩე0:0 | | | | | | | 1:2 | - | - | - |
| 26.05.02 | | | 2:0ოვიედო; ხერესი2:1; ეხიდო2:2 ხიმნასტიკი V ექსტრემადურა ეხიდო1:1; 2:3ატლეტიკო; მურსია0:2 | | | | | | | 0:1 | - | - | - |
| 26.05.02 | | | 1:0ლეგანესი; ფეროლი4:0; 0:2ებარი ნუმანსია V ლეგანესი ბადახოსი0:1; 1:0სპორტინგი; ელჩე0:1 | | | | | | | 1:0 | - | - | - |
| 26.05.02 | | | 1:0ბურგოსი; რასინგი0:0; 2:0ექსტრემადურა მურსია V ხაენი ელჩე0:1; 1:2კორდობა; ალბასეტე1:0 | | | | | | | 0:0 | 1:2 2:2 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ატლეტიკო მადრიდი(4) | ■ | 2:0 | 1:1 | 4:0 | 0:0 | 0:1 | 0:0 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 2:1 | 0:0 | 1:0 | : | 2:2 | 0:2 | 4:2 | 1:0 | 2:1 | 3:3 | 3:2 | 2:0 | 41 | 23 | 9 | 9 | 67:43 | 78 | 11 | 7 | 2 | 32:18 | 40 | 12 | 2 | 7 | 35:25 | 38 |
| 2 | რასინგი სანტანდერი(ლ) | 1:0 | ■ | 1:5 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 3:0 | 0:2 | 4:0 | 3:1 | 1:0 | 2:1 | 4:2 | 3:0 | 1:1 | 2:0 | 41 | 19 | 14 | 8 | 58:36 | 71 | 14 | 4 | 3 | 37:17 | 46 | 5 | 10 | 5 | 21:19 | 25 |
| 3 | უელვა(6) | 1:3 | 1:1 | ■ | 1:0 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 3:2 | 0:3 | 41 | 18 | 15 | 8 | 46:32 | 69 | 12 | 3 | 6 | 23:18 | 39 | 6 | 12 | 2 | 23:14 | 30 |
| 4 | ელჩე(18) | 5:1 | 1:1 | 1:1 | ■ | 4:0 | 1:0 | 2:0 | : | 1:0 | 0:0 | 4:1 | 2:3 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 2:2 | 1:0 | 0:0 | 1:3 | 41 | 17 | 13 | 11 | 52:39 | 64 | 11 | 7 | 2 | 33:14 | 40 | 6 | 6 | 9 | 19:25 | 24 |
| 5 | ხერესი(ლ) | 0:1 | 2:1 | 0:0 | 2:0 | ■ | 1:0 | : | 1:0 | 0:2 | 2:1 | 0:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 2:1 | 3:3 | 3:1 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 41 | 18 | 9 | 14 | 40:41 | 63 | 13 | 2 | 5 | 26:17 | 41 | 5 | 7 | 9 | 14:24 | 22 |
| 6 | სპორტინგი ხიხონი(7) | 2:1 | 1:1 | : | 0:1 | 0:1 | ■ | 0:0 | 1:0 | 0:0 | 5:3 | 1:1 | 3:0 | 3:0 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 3:2 | 41 | 16 | 13 | 12 | 54:46 | 61 | 7 | 8 | 5 | 25:18 | 29 | 9 | 5 | 7 | 29:28 | 32 |
| 7 | რეალი ოვიედო(ლ) | 2:3 | 0:0 | 1:1 | 3:6 | 1:0 | 0:2 | ■ | 1:0 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 41 | 13 | 19 | 9 | 40:38 | 58 | 7 | 10 | 4 | 21:19 | 31 | 6 | 9 | 5 | 19:19 | 27 |
| 8 | ებარი(15) | 0:3 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 1:1 | ■ | 1:0 | 2:0 | 0:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 4:2 | 7:0 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 41 | 14 | 15 | 12 | 41:27 | 57 | 11 | 6 | 4 | 34:16 | 39 | 3 | 9 | 8 | 7:11 | 18 |
| 9 | ალბასეტე(5) | 2:1 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 3:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | ■ | 2:1 | 0:1 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 3:1 | : | 1:0 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 4:0 | 41 | 15 | 11 | 15 | 42:39 | 56 | 11 | 5 | 4 | 28:13 | 38 | 4 | 6 | 11 | 14:26 | 18 |
| 10 | ფეროლი(16) | 1:1 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 2:0 | ■ | 3:1 | 1:3 | 1:0 | 3:0 | 2:1 | 3:0 | 2:0 | 2:1 | 1:2 | 1:2 | 2:0 | 0:1 | 41 | 16 | 7 | 18 | 57:59 | 55 | 11 | 4 | 6 | 32:20 | 37 | 5 | 3 | 12 | 25:39 | 18 |
| 11 | სალამანკა(9) | 0:0 | 1:2 | 2:3 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 3:0 | 1:0 | 2:0 | 3:1 | ■ | 0:0 | 2:2 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 0:2 | 0:1 | 3:3 | 0:0 | 0:1 | 41 | 13 | 14 | 14 | 49:51 | 53 | 7 | 7 | 7 | 23:19 | 28 | 6 | 7 | 7 | 26:32 | 25 |
| 12 | კორდობა(12) | 0:2 | 0:4 | 0:0 | 3:0 | 0:0 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 3:1 | : | 4:2 | ■ | 1:2 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 3:1 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 41 | 14 | 10 | 17 | 45:50 | 52 | 8 | 5 | 7 | 25:23 | 29 | 6 | 5 | 10 | 20:27 | 23 |
| 13 | ბადახოსი(14) | 0:1 | 3:2 | 1:0 | 1:3 | 1:0 | 1:2 | 1:0 | 0:1 | 2:3 | 2:1 | : | 0:1 | ■ | 2:3 | 0:0 | 3:2 | 1:1 | 0:1 | 2:2 | 2:1 | 2:2 | 1:0 | 41 | 15 | 7 | 19 | 41:50 | 52 | 8 | 4 | 8 | 25:26 | 28 | 7 | 3 | 11 | 16:24 | 24 |
| 14 | ბურგოსი(ლ) | 0:4 | 0:0 | 1:3 | 0:0 | 3:1 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 2:4 | 0:0 | 0:1 | 0:1 | ■ | 1:1 | 0:0 | 0:1 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 41 | 12 | 15 | 14 | 30:36 | 51 | 4 | 10 | 7 | 12:18 | 22 | 8 | 5 | 7 | 18:18 | 29 |
| 15 | ნუმანსია(ლ) | 1:2 | 0:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:2 | 1:1 | 1:0 | 4:0 | 2:2 | 0:2 | 1:2 | 1:5 | ■ | 1:0 | 1:0 | 3:0 | : | 0:0 | 0:0 | 1:0 | 41 | 13 | 12 | 16 | 44:51 | 51 | 7 | 7 | 6 | 23:20 | 28 | 6 | 5 | 10 | 21:31 | 23 |
| 16 | ლევანტე(17) | 0:3 | 1:4 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 0:2 | 1:3 | 1:0 | 1:2 | 2:2 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 0:1 | ■ | 0:0 | 2:0 | 2:1 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 41 | 12 | 14 | 15 | 38:45 | 50 | 8 | 6 | 7 | 21:22 | 30 | 4 | 8 | 8 | 17:23 | 20 |
| 17 | მურსია(13) | 3:1 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:2 | 3:3 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 0:0 | ■ | 0:1 | 0:1 | 0:2 | 2:1 | : | 41 | 11 | 16 | 14 | 34:38 | 49 | 6 | 8 | 6 | 21:19 | 26 | 5 | 8 | 8 | 13:19 | 23 |
| 18 | პოლიდეპორტივო ეხიდო ეხიდო(ლ) | 1:2 | : | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 2:4 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 3:4 | 1:1 | 0:0 | ■ | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 41 | 11 | 14 | 16 | 40:47 | 47 | 7 | 9 | 4 | 23:16 | 30 | 4 | 5 | 12 | 17:31 | 17 |
| 19 | ლეგანესი(8) | 2:4 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 4:3 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 3:1 | 2:2 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 0:0 | 0:0 | ■ | 2:2 | 1:0 | 0:1 | 41 | 11 | 14 | 16 | 39:53 | 47 | 4 | 10 | 7 | 21:23 | 22 | 7 | 4 | 9 | 18:30 | 25 |
| 20 | ხიმნასტიკი ტარაგონა(ლ) | 1:2 | 0:0 | 1:2 | 1:2 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 2:2 | 1:0 | 1:1 | 0:0 | 3:1 | 0:1 | 1:1 | 2:2 | 1:0 | ■ | : | 0:2 | 41 | 11 | 13 | 17 | 42:48 | 46 | 7 | 7 | 6 | 21:19 | 28 | 4 | 6 | 11 | 21:29 | 18 |
| 21 | ექსტრემადურა(11) | 2:0 | 2:0 | 0:3 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 0:1 | 3:2 | 0:4 | 2:0 | 0:2 | 2:1 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 1:0 | ■ | 5:0 | 41 | 10 | 13 | 18 | 36:47 | 43 | 9 | 3 | 9 | 23:23 | 30 | 1 | 10 | 9 | 13:24 | 13 |
| 22 | ხაენი(10) | 1:0 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:2 | 3:3 | 1:3 | 0:0 | 1:0 | 1:4 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 1:0 | 0:0 | 3:1 | 0:1 | 0:1 | 1:0 | ■ | 41 | 11 | 9 | 21 | 30:49 | 42 | 5 | 6 | 10 | 15:23 | 21 | 6 | 3 | 11 | 15:26 | 21 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაჟების ბადე

1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

- ჰიუიტი (1) — სა
- შერჩეული — ბიორკმანი
- დე შონა — ჩანგი
- შერჩეული — შალკენი (30)
- მოია (17) — დელგადო
- ფილიპუსისი — შერჩეული
- კალატრავა — კიფერი
- კუჩერა — კანასი (15)
- სამპრასი (12) — გაუდენცი
- ლუცი — შერჩეული
- შერჩეული — დავიდენკო
- გასკე — კოსტა (20)
- ესკუდე (27) — მელიგენი
- გონსალესი — დრეიპერი
- ნოული — სანგვინეტი
- ჰოიბერგერი — კუერტენი (7)
- ჰაასი (3) — ტაბარა
- მანტია — შერჩეული
- ჟ. როშუ — შერჩეული
- ნიემინენი — ლაპენტი (28)
- პაველი (22) — მ. ლი
- კრატოხვილი — ჰრბატი
- მონტალესი — დიუპუი
- გემბილი — ელ აინაუი (16)
- იოჰანსონი (9) — სკილარი
- ბენეტო — კლემანი
- ტ. მარტინი — შერჩეული
- ულირახი — კორეჩა (18)
- ლუბიჩიჩი (32) — ვისენტე
- შერჩეული — ა. მარტინი
- ვაჩეკი — საბალეტა
- შერჩეული — კაფელნიკოვი (5)
- ფედერერი (8) — არაზი
- პლესი — შერჩეული
- ლაბაძე — ბუტე
- ბალსელსი — გაუდიო (31)
- შუტლერი (24) — შერჩეული
- სარგსიანი — კორია
- კუტელო — კუბეკი
- ლისნარი — ფერერო (11)
- ნოვაკი (14) — იუენი
- შერჩეული — ჰ. ლი
- მათიო — ფერეირა
- ნორმანი — სანტორო (23)
- რობრედო (25) — ლევი
- შერჩეული — ჰიპფლი
- სანჩესი — აკასუსო
- შერჩეული — აგასი (4)
- ჰენმანი (6) — ბლანკო
- შერჩეული — მალისი
- ილიე — პორტასი
- მამიტი — მირნი (26)
- ჩელა (21) — ვოინეა
- სპადეა — პიოლინი
- ბლეიკი — ბურგსმიულერი
- კლავეტი — გროსჟანი (10)
- როდიკი (13) — არტურსი
- რასელი — დი პასკუალი
- სლოიტერი — შრიჩაფჰანი
- შერჩეული — ენკვისტი (19)
- ნალბანდიანი (29) — კალერი
- სარეტა — შერჩეული
- ო. როშუ — სავოლტი
- ლოდრა — საფინი (2)

## როლან გაროსი 2002

# ჰედ ენდ შოლდერსი

## თუკი ანდრეჯანს ჯანი არ უმტყუნებს...



ბოლო ჩემპიონი გუსტავო კუერტენი

**მაშინ როცა:**

ესპანელ ჯიშად-მეთიხნარეთა მთელი ლეგიონი ან უქეიფოდაა ანაც საქეიფოდ, როცა ტურნირის მთავარგანთესილი თიხის ფეხებზე მდგომი გოლიათია და, თუკი რამე მოუგია, ისიც ანგლოსაქსურ მაგარ საფარზე და კიდევ:

— რაც ალბათ ყველაზე მთავარია —

შარშანდელი ჩემპიონი ოთხი თვის წინ გაკეთებული ოპერაციის მერე საუკეთესო ფორმაში ჯერაც ვერ შებრუნებულა, პარიზულ კორტებზე სავარაუდოდ საჩემპიონო ჩოგანს დასტურ მხოლოდ ერთი კაცი გაიქნევს.

მაღალქუსლა სპორტულ წუღებში გამოწყობილიც კი მიწას მეტრსა და 80 სანტიმეტრზე მეტად ვერ ალემატება, მაგრამ სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირამდე ორი დღით ადრე მის გარდა არც არავინ ჩანს ისეთი, ვინაც კაცთა სადღეისო საჩოგნეთს ასე მთელი ერთი თავით ალემატებოდეს. ინგლისელი ჩოგბურთზე მწერლები ასეთი უპირატესობის გამოსახატად ასეთ იდიომს ხმარობენ — „ჰედ ენდ შოლდერს ებავ"! ამ სიტყვებიდან პირველი თავს ნიშნავს, მეორე მხრებს და იქაური ჟურნალისტებიც ამით იმის თქმას ცდილობენ, რომ თუკი წლეულს როლან გაროსის ბარაქიან კორტებზე რამე უნდა დაიყაროს, ეგ — ანდრე აგასის საჩოგნო ქერქლი!

ის ამბავი კი 1999-ში მოხდა, როცა ჩაუქმა არმენოამერიკელმა ჩოგბურთის ასწლოვან ისტორიაში მეხუთემ შეძლო, საკარიერო სლემპოკერი შეესრულებინა, ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ოთხივე მთავარტურნირი (ავსტრალიის ღია პირველობა, როლან გაროსი, უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა) მოეგო.

ეს აგასის მეოთხე დიდი ფინალი იყო, მას შემდეგ მან კიდევ ოთხ ფინალში ითამაშა და ჯამში შვიდი სლემტიტული მოინაგრა.

დღეს ეს ჯადო-ლასვეგასელი 32 წლისაა და, მართალია, თვალებს წყრთიანი კულულების მიმობნევით აღარ აზარებს, მაგრამ ჩოგანი იმაზე გაცილებით ბრძნულად და მარჯვედ უპყრია, ვიდრე მრავალი წლის წინ — როცა ღიმილის ბიჭი იყო და ბეჭზე ბრუკ შილდსი ეხატა!

ახლა ანდრეს შტეფი გრაფი ახატია და — დოიჩლანდ იუბერ ალესს!! მის ბოლოდროინდელ აჩაუქებას ვიეთნი სწორედ ამ დიად ბანოვანთან მეგობრობით ხსნიან.

სულ ცინცხალი ამბები კი აგასის რომაული გმირობაა — თუკი ჩვენი მკითხველი ბრძანდებით, ისიც უთუოდ გეცოდინებათ, ორიოდ კვირის წინ მასტერსის სერიის ტიბრქალაქური ტურნირი რომ მოიგო და ამით თავის მასტერსტიტულთა ჩამონათვალი 14-მდე აიყვანა.

თქვენ სამპრასი იძახეთ და მაგას 13 მასტერსტიტულიც არ მოეძევება...

სხვაფრივ — რომის მერე ანდრემ ჰამბურგის მასტერსზე ჩასვლა იუარა. ძაან მომივაო. მცოდნე ხალხი ამბობს, რომ ეს მართებული გადაწყვეტილება იყო.

„1999-ში რომში მართლაც კარგად ვითამაშე — იგონებს ანდრე — საროლანგაროსოდ ჩინებული განწყობა მქონდა და ვიმარჯვე კიდეც. მაგრამ, თქვენ არ დამცინოთ და, ახლა უკეთესად ვთამაშობ. ასაკი? ასაკი ჩემი თულფია — თუკი ჯანი შერჩენილი გაქვს, ასაკზე არ უნდა იწუწუნო. ჯანმრთელობასთან შერწყმული გამოცდილება და ინტელექტი უძლეველია".

„საჩოგბურთო სტანდარტებით 32 წელი ნამეტანია, მაგრამ ადრეც ბევრნი ყოფილან და ცოცხალი მაგალითები ახლაც ბევრნი ვართ — ჩვენ კიდევ შეგვიძლია, ჩოგანი გავიქნიოთ და აზვარ ბიჭუკელებს ჩვენი უპირატესობა დავუდასტუროთ".

რაც შეეხება თიხნარს, რაიც ამერიკელი მემაგარსაფრეებისთვის ნიადაგ არასახარბიელო ნიადაგად ითვლება, ანდრეს არგუმენტი ამაზეცა აქვს. ეგ ისევე არ არის პრობლემა, როგორც სიბერეო, ამბობს. „თქვენ თავადაც მოწმენი ხართ, რომ მე თიხაზეც ისევე ვჩაუქობ, როგორც სხვაგან — ჰოდა, რატომ უნდა მეპრობლემებოდეს!!".

მერე კი გუსტავო კუერტენზე ვილაპარაკოთ. სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელი ის კაცია, ვინც ალბათ სხვაზე მეტად იმსახურებს, მისი საფირმო ტურნირის წინ ორი დღით ადრე მთელი ქვეყნის ობიექტივები მასზე რომ მიიშვირებოდეს...

კორტს ის სამი კვირის წინ მოუბრუნდა — ქომაგს ეხსომება, რომ გუგაბიჭმა თებერვალში ბარძაყის ოპერაცია გადაიტანა და მთელი ორი თვის განმავლობაში ჩოგანს მხოლოდ სიზმრებში აქნევდა.

ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებ და, მართალია, არავითარი ილუზია არა მაქვს — წლეულს მე არავინ მომაგებინებს — მაგრამ ვერც ჩოქბჯენში გადამიყვანენო — ასე ამბობს.



მუდმივი ფავორიტი ანდრე აგასი

დიდი წარმატების მოლოდინი არც ლეიტონ ჰიუიტს აქვს — და ეს არა იმიტომ, რომ ქუდი მოიხადა და კორტზე მხოლოდ საშუბლე ოფლსაშრობით ცხადდება. არა — მისი პრობლემა თიხნარია და საქმეში ჩახედული ხალხისთვის ძნელი წარმოსადგენია, ჭაბუკმა ოზიმ პარიზულ თიხნარზე შვიდი მატჩი გაიაროს!

უფრო იმედიანად როჯერ ფედერერია — უნივერსალისტი შვეიცარიელი, რომელიც კაცთა ჩოგბურთის ერთ უმთავრეს საფალავნოდ მიიჩნევა და წინა კვირას რუს მარატ საფინს ჰამბურგის მასტერსფინალი მოუგო. ამ გამარჯვებამ მაგრად შემაგულიანა და, აბა, როლან გაროსზე ხეირი ვის არ უნდა, მე არ მინდოდესო.

თავის აჩრდილებსა ჰგვანან შარშანდელი ფინალისტი ალექს კორეჩა და მისი ჭაბუკი თვისტომი, ნიჭიერი და სხარტი ხუან კარლოს ფერერო. ჩოგნის ჩამოკიდებაზე ფიქრობს და წლეულს გახვრეტილი კაპიკის სადირალი არ გაუკეთებია ევგენი კაფელნიკოვს. თიხას დასანახად ვერ იტანს დახვეწილი ბრიტანელი ტიმ ჰენმანი, ხოლო წლევანდელი მეავსტრალიე ტომას იოჰანსონი ამ საფარზე ისეთივე ფინჩია, როგორიც 13-გზის მესლემტიტულე პიტ სამპრასი, ვინაც — ვინძლო — უკანასკნელად ეცადოს დარჩენილი კარიერის უმთავრესი ამოცანის ამოხსნას!

ყოველივე ამის ფონზე ყველაზე მაგარ ფავორიტად ისევ ანდრე აგასი რჩება. „სამისოდ ყოველდღიურად ვემზადები — დინჯად და საფუძვლიანად. ვნახოთ, რა გამოვა" — ამბობს იგი.

თუკი ჯანი არ უმტყუნებს, ყველაფერი ისე გამოვა, როგორც საჭიროა: მისი სასლემო მარაგი 8-მდე ავა და მსოფლიოც კიდევ ერთხელ დარწმუნდება — მრავალნი არიან მეჩოგნენი, მაგრამ გენიოსები — ერთეულნი!

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2001



როდ ლეივერი

| | |
|---|---|
| 1961 | მანუელ სანტანა |
| 1962 | როდ ლეივერი |
| 1963 | როი ემერსონი |
| 1964 | მანუელ სანტანა |
| 1965 | ფრედ სტოლი |
| 1966 | ტონი როჩი |
| 1967 | როი ემერსონი |
| 1968 | კენ როზუოლი |
| 1969 | როდ ლეივერი |
| 1970 | იან კოდეში |
| 1971 | იან კოდეში |
| 1972 | ანდრეს ხიმენო |
| 1973 | ილია ნასტასე |
| 1974 | ბიორნ ბორგი |
| 1975 | ბიორნ ბორგი |
| 1976 | ადრიანო პანატა |
| 1977 | გილერმო ვილასი |
| 1978 | ბიორნ ბორგი |
| 1979 | ბიორნ ბორგი |
| 1980 | ბიორნ ბორგი |
| 1981 | ბიორნ ბორგი |
| 1982 | მათს ვილანდერი |
| 1983 | იანიკ ნოა |
| 1984 | ივან ლენდლი |
| 1985 | მათს ვილანდერი |
| 1986 | ივან ლენდლი |
| 1987 | ივან ლენდლი |
| 1988 | მათს ვილანდერი |
| 1989 | მაიკლ ჩანგი |
| 1990 | ანდრეს გომესი |
| 1991 | ჯიმ კურიე |
| 1992 | ჯიმ კურიე |
| 1993 | სერხი ბრუგერა |
| 1994 | სერხი ბრუგერა |
| 1995 | ტომას მუსტერი |
| 1996 | ევგენი კაფელნიკოვი |
| 1997 | გუსტავო კუერტენი |
| 1998 | კარლოს მოია |
| 1999 | ანდრე აგასი |
| 2000 | გუსტავო კუერტენი |
| 2001 | გუსტავო კუერტენი |



ბიორნ ბორგი



ივან ლენდლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როლან გაროსი 2002



# შელშე სელენ!

## სერენა თიხისას მოერგო — მტრისას!



შარშანდელი როლან გაროსი ჯენიფერ კაპრიატიმ თასით და მორჭმით დაამთავრა

**მიზანდასახულობამ** და შემართებამ ყოფილ თინეიჯერ მოჯანყეს ჯენიფერ კაპრიატის 12 თვის წინ კარიერის მეორე სლემტიტული კი მოაგებინა, მაგრამ — და საქმეში ჩახედულ ხალხს ამაზე უნისონად ერთი აზრი გვაქვს — უკეთუ შარშანდლის განმეორება სურს, ჩოგნის ათმაგად განძრევა მოუხდება.

იმ დროს, როცა მისი ტახტის მოცილენი წლევანდელი სათიხნარე სეზონის მსვლელობისას ამ საფართან გაშინაურებას ცდილობენ და აქა-იქ ახერხებენ კიდეც, 26 წლის ჯენიფერ კაპრიატი ერთადერთია როლან გაროსზე განთესილი 5 ზექალიდან — რომელსაც წლეულს ერთი ქეციანი თიხნარტურნირიც არ მოუგია.

მისგან განსხვავებით მრისხანე შავდა უილიამსები, ბუთქუნა ბელგიელი კიმ კლაისტერსი და მისი კაფანდარა თვისტომი ჟუსტინ ენენი წლევანდელ როლან გაროსს თიხნარტიტულებიანად ხვდებიან.

განსაკუთრებით დაუნდობლად ჯენის სერენასგან მოხვდა. უმცროსი შავდა ჯანიან დედოფალს ამ ზამთარ-გაზაფხულზე სამჯერ გაეპაექრა და სამივეჯერ ისე დაჩაგრა, საქმეს წყალი არ გასვლია. უკანასკნელად ესენი ერთმანეთს წინა შაბათს, რომაულ ნახევარფინალში გადაეყარნენ.

არადა, სულ რალაც ორი კვირის წინ სერენა ის მეჩოგნე გახლდათ, ვინაც თიხნარზე არც ერთი მეოთხედფინალის მიჯნას არ გაცილებოდა. მაგრამ რვა დღის ინტერვალით ორ ბობოლა ფინალში თამაშმა, რომლებიდანაც პირველბერლინურში ენენთან დამარცხდა, ხოლო მეორრომაულში მასვე ურევანშა, მამილო რიჩარდის ჩაკუნთული გოგოცუნა თავად რეიტინგსიის (მისთვის სარეკორდო) მესამე საფეხურზე ალაზევა, საქმის მცოდნე ხალხი კი იმაში დაარწმუნა, რომ თიხასაფარს აშკარად მორგებია.

რალა ბევრი გავაგრძელოთ — შელშე სელენ!! ანუ ეძებეთ სერენა!! თუკი წლეულს ვინმე როლან გაროსის მომგები ჩანს, უპირველესად ეგ პატარა უილიამსია!

„საფრანგეთის ღია პირველობაზე გამარჯვება ჩემი ცხოვრების უმთავრესი ოცნების ასრულება იქნება — ამბობს შავგოგო — იქაურობა ძალიან მომწონს და გადაწყვეტილი მაქვს, ცოცხალი თავით არავის არაფერი დავუთმო".

სერენას გარდა ჩვენი კალმები, კლავიატურები თუ ობიექტივები ჟუსტინ ენენისკენ მიიქცევა. ეს თხელი, სიფრიფანა და — მარტინა ჰინგისის „ჩასვენების" ფონზე — ნაღდად ქალური ჩოგბურთის ლამის ერთადერთ მეოხად შთენილი გოგო ბოლო დროს ისე ჯიგრიანად ხათქახუთქობს, რომ ტიტულის სერიოზულ მაძიებლად მიიჩნევა.

19 წლის ენენმა საყოველთაო ყურადღება შარშან, ვინუს უილიამსთან წაგებულ საუიმბლდონო ფინალში მიიპყრო. წლეულს კი მან უკვე 5 გადამწყვეტ შეხლაში ითამაშა — იგი უნივერსალისტია და თიხაზეც ისეთივე ხალისით ჩოგნაობს, როგორც ნებისმიერ სხვა საფარზე.

„ერთადერთი, რაც მჭირდება, საკუთარი თავის რწმენაა, თორემ ისე ნაღდად ვიცი — ყველაფრის მოგება შემიძლია" — ენენი შარშან ნახევარფინალამდე ბულრაობდა და იქაც მხოლოდ ბომბორა მეგობართან, კიმ კლაისტერსთან შეფერხდა.

და თავად ვინუსი?!

იგი მსოფლიოს მეპირველეა და ამით თითქოს ყველაფერი ნათქვამია, მით უფრო, რომ ერთი თვის წინ ამელია აილენდის მწვანე თიხნარზეც იმარჯვა და საერთოდაც — მაგარ ფორმაში იყო.

ჰოდა, მთელი საქმეც ეგაა, რომ ახლა იმ ფორმიდან რა დარჩა, მამამის რიჩარდის მეტი არც არავინ იცის. რომში ნატკენმა მაჯამ ვინუსის შანსები ერთი ათად შეამცირა...

შარშან კი იგი პირველი წრიდანვე დაითხოვეს. ჩოგანი მას მომხიბლავმა ავსტრიელმა, ბარბარა შეტმა დააშალითებინა. რაც შეეხება თავად კლაისტერსს, მისი თითქმის არავის ეშინია — ამას წინათ ნატკენმა მხარმა ლეიტონის საცოლე უმთავრეს ფავორიტთა ნუსხას მეყსეულად გამოთიშა. თუმცა კიმი ჯიქური მქნეველი, სათიხნარე ნელი კონდიციებისთვის დაულალავი გამთამაშებელია და მის წინაალმდეგ ფსონის ჩასვლასაც ამიტომ ნუ ვიჩქარებთ! ბოლო-ბოლო, იგი შარშანდელი ფინალისტია და ჯენი კაპრიატიმ მას მხოლოდ გადამწყვეტ სეტში და ისიც აიდონსტზე (12:10) მოუგო.

ერთი სიტყვით, ენენისა არ იყოს, კლაისტერსიც პირველ სლემტიტულს ეძებს და ქალი რომ გაიწევს — ალბათ თავადაც გაგიგიათ — მთელი საჩოგნეთი ვერ დააკავებს ხოლმე.

**ლევან ძელაურაძე**

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2001

| | |
|---|---|
| 1961 | ენ ჰეიდონი |
| 1962 | მარგარეტ სმიტი |
| 1963 | ლესლი ტერნერი |
| 1964 | მარგარეტ სმიტი |
| 1965 | ლესლი ტერნერი |
| 1966 | ენ ჰეიდონ-ჯონსი |
| 1967 | ფრანსუაზ დური |
| 1968 | ნენსი რიჩი |
| 1969 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1971 | ივონ გულაგონგი |
| 1972 | ბილი-ჯინ კინგი |
| 1973 | მარგარეტ სმიტ-კორტი |
| 1974 | კრის ევერტი |
| 1975 | კრის ევერტი |
| 1976 | სიუ ბარკერი |
| 1977 | მიმა იუსოვეცი |
| 1978 | ვირჯინია რუჟიჩი |
| 1979 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1980 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1981 | ჰანა მანდლიკოვა |
| 1982 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1983 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1984 | მარტინა ნავრატილოვა |
| 1985 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1986 | კრის ევერტ-ლოიდი |
| 1987 | შტეფი გრაფი |
| 1988 | შტეფი გრაფი |
| 1989 | არანჩა სანჩესი |
| 1990 | მონიკა სელეში |
| 1991 | მონიკა სელეში |
| 1992 | მონიკა სელეში |
| 1993 | შტეფი გრაფი |
| 1994 | არანჩა სანჩესი |
| 1995 | შტეფი გრაფი |
| 1996 | შტეფი გრაფი |
| 1997 | ივა მაიოლი |
| 1998 | არანჩა სანჩეს-ვიკარიო |
| 1999 | შტეფი გრაფი |
| 2000 | მარი პირსი |
| 2001 | ჯენიფერ კაპრიატი |



შტეფი გრაფი



მონიკა სელეში



მარტინა ნავრატილოვა

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- კაპრიატი (1) — [illegible]
- ფრეშერი — [illegible]
- ვიჯაჯა — კრეიბასი
- დომინიკოვიჩი — სტივენსონი (28)
- შნიდერი (20) — შერჩეული
- გარბინი — ტალაია
- კურნიკოვა — უილერი
- დირბერგი — ტულიაგანოვა (14)
- შონესი (12) — შერჩეული
- სრებოტნიკი — გარსია
- ლუა — მოლიკი
- შერჩეული — მისკინა (19)
- კუტცერი (30) — მიულერი
- სულუაგა — ლიხოვცევა
- მარტინესი — კამერინი
- გალიარდი — დოკიჩი (7)
- ს. უილიამსი (3) — სუხა
- ორემანსი — შერჩეული
- ჰუსაროვა — ფუსაი
- ბარტოლი — სუგიამა (26)
- სმაშნოვა (21) — სკიავონე
- შერჩეული — მიქაელიანი
- მატევეჩი — შერჩეული
- მარერო — სანჩეს-ვიკარიო (15)
- ფარინა ელია (9) — ბოვინა
- პისნიკი — ჰრდლიკოვა
- ანდრეტო — კანდარი
- ხლადკოვა — ტანასუგარნი (17)
- ვალერო (32) — გრჟიბოვსკა
- პირსი — სელიუტინა
- ნაგიოვა — რაზანო
- შერჩეული — ენენი (5)
- ტესტიუ (8) — სუარესი
- შერჩეული — შვარცი
- ჰოპკინსი — შერჩეული
- შერჩეული — დეში (27)
- რეიმონდი (24) — ბესი
- პასკუალი — ფორე
- პრატი — სერნა
- პინი — მორესმო (10)
- დემენტიევა (13) — გერსი
- სფარი — სვენსონი
- დე ლოს რიოსი — არნი
- სიდო — მალეევა (22)
- ბედანოვა (25) — კოსტანიჩი
- შერჩეული — ფერნანდესი
- დანილიდუ — ბეგბედე
- პუჩეკი — კლაისტერსი (4)
- სელეში (6) — მონტოლიო
- რიტნერი — მანდულა
- ოსტერლო — ჩერვანოვა
- ბრანდი — მაიოლი (29)
- პანოვა (18) — ნოორლანდერი
- შერჩეული — ალორო
- ნეიედლი — ძანეტი
- ბლექი — ჰანტუხოვა (11)
- შეტი (16) — ვაინგარტნერი
- ჩო — რუბინი
- რივზი — გუბაში
- ლი — კრემერი (23)
- გრანდე (31) — დიას-ოლივა
- ობატა — ჟიდკოვა
- პრაკუსია — ბარნა
- ლამადე — ვ. უილიამსი (2)

ჯირო 2002

# ვერ დაიჭირავს დოპინგსა... ვის ჰგვანან ანტიმედოპინგეები? ვის და. ათასი კურდღლის მადევარს



ჯილბერტო სიმონი ჯიროდან მისიანებმავე მოკვეთეს

**23 მაისი. მეთერთმეტე ეტაპი**

ბენევენტო — კამპიტელო (143 კმ)

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „საეკო") 4 საათი, 3 წუთი, 37 წამი
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, „ფასა ბორტოლო") იგივე
3. ფრანკო პელიზოტი (იტალია, „ალესიო") + 3

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დოპინგი და სხვა მსგავსი მამაძაღლობები ველოსპორტისთვის მოუგონიათ და გულმოდგინედ რომ მოჩხრიკონ, ანტიმედოპინგეები იმდენ ველომრბოლს აღმოუჩენენ სტიმულატორებს, რომ ტურნირ-შეჯიბრებათა ჩასატარებლად ბევრიც არავინ შერჩებათ.

დოპინგის წინააღმდეგ ამხედრებულ იტალიურ „ჯიროს" ხელმძღვანელებიც ჯერ ძირითადად რბოლის ლიდერებს ერჩიან, სხვებზე ყოჩაღად რომ ატრიალებთ პედლებს, რაიმე ხომ არ გიეშმაკიათო. ლიდერებიც თავს მშვიდად ვერ გრძნობენ, ან კი როგორ დამშვიდდებიან, როცა წარამარა იბარებენ სადაც ჯერ არს და მოშარდვას სთხოვენ. შარდში კი, თეთრხალათიანმა, განათლებულმა ხალხმა კარგად უწყის, ბევრი საინტერესო რამის პოვნა შეიძლება.

საკუთარმა შარდმა, უფრო ზუსტად კი მისმა შემცველმა რაღაც დოპინგის ნარჩენებმა, გაწირა წლევანდელი „ჯიროს" თავდაპირველი ლიდერი სტეფანო გარძელი. გუშინწინ მას მიჰყვა კიდევ ერთი ლიდერთაგანი, ასევე იტალიელი და იტალიური „საეკოს" წევრი ჯილბერტო სიმონი. სიმონი რამდენიმე დღის წინ ჩავარდა დოპინგ-ტესტზე, მაგრამ რბოლის წესდებით, განმეორებით ტესტამდე ჰქონდა რბოლის გაგრძელების უფლება. გააგრძელა და მოიგო კიდეც ბენევენტოდან კამპიტელომდე 143-კილომეტრიან შარაზე გაჭიმული მეთერთმეტე ეტაპი, მაგრამ სიხარული დიდხანს არ დასცალდა. განმეორებითი ტესტით დაშინებულმა მისმა გუნდმა თავად მოიკვეთა ლიდერი რბოლიდან. ეტყობა, ტესტში სიმონის გამართლების იმედი არ ჰქონდათ და გუნდის ხელმძღვანელებმა დოპინგ-კონტროლის მხარე დაიჭირეს.

თავად ჯილბერტო სიმონი, ცხადია, უარყოფს რაიმე აკრძალული პრეპარატის მიღებას, ამბობს, ამას წინათ კბილის ექიმთან ვიყავი, ოპერაცია გავიკეთე და აბა, როგორ წარმოვიდგენდი, ტკივილგამაყუჩებელს დოპინგად თუ ჩამითვლიდნენო. მაგრამ იმის ხალხია დოპინგის გამკონტროლებლები, ამ ცუდად გამართულ ტყუილს აჰყვეს?

სხვათა შორის, სიმონი შარშანდელი „ჯიროს" მომგებია, ხოლო მანამდე გაგდებული სტეფანო გარძელი შარშანწინდელი ტრიუმფატორია.

რაც შეეხება წმინდასარბოლო ამბებს, ჯიროს მეთერთმეტე ეტაპის შემდეგ კვლავ ლიდერობს გერმანული იენს ჰეპნერი. ეს 38 წლის ვეტერანთ-ვეტერანი ჯერჯერობით არაა აკრძალულ წამალთა მიღებაში მხილებული და დღევანდელი გადასახედიდან სუფთა ჩანს, მაგრამ „ჯიროს" უგრძესი გზის ფინიშამდე ბევრი ასეული კილომეტრი და დოპინგ-ტესტია დარჩენილი, ასე რომ, ვინ იცის...

**ძოტე ყორშია**

**24 მაისი. მეთორმეტე ეტაპი**

კაპობასო — ჩიეტი (200 კმ)

1. დენის ლუნგი (იტალია, „კომპაკი") 5 საათი, 38 წუთი, 16 წამი
2. ბრედ გრაფში (გერმანია, „ფონაკი") + 37
3. ლორენცო ბერნუჩი (იტალია, „ლენდბუკრედიტი") + 38

**საერთო ჩათვლა**

1. იენს ჰეპნერი (გერმანია, „ტელეკომი") 58 საათი, 40 წუთი, 30 წამი
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, „ფასა ბორტოლო") + 2 წუთი, 58 წამი
3. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ინდექსი") + 3 წუთი, 43 წამი



**F1** მეშვიდე ეტაპი — მონაკოს დიდი პრიზი

მონტე კარლო, 26 მაისი




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . 3.370 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . 78 წრე — 262.860 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ირვინი (იაგუარი); 4 ვილნევი (BAR); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ალეზი (პროსტი)

**წრის რეკორდი:** 2001 — კულჰარდი (მაკლარენი) 1:19.424 (152,749 კმ/სთ)

# სამოთხის ორღობე

**ხვალ** სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე პრესტიჟული საფორმულო რბოლა გაიმართება. მონტე კარლოს უვიწროეს, აღმართ-დაღმართიან ქუჩებში ჯახირი სხვა ეტაპებისგან ყოველმხრივ გამორჩეულია — ესაა ყველაზე რთული, ყველაზე მოკლე, ყველაზე დაბალსიჩქარიანი შეჯიბრი. მრბოლებს წამდაუწუმ უხდებათ დამუხრუჭება და სიჩქარის გადართვა. ორღობის სიგანის „ტრასაზე", სადაც გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია, საავთიაქო სიზუსტით უნდა იარო, რათა მანქანა რკინის ღობურებს არ მიაჭეჭყო. ერთი სიტყვით, პილოტებს იოტისოდენა შეცდომის უფლებაც არა აქვთ. სწორედ უმძიმესი პირობების გამო დისტანცია ტრადიციულზე 40 კილომეტრით მოკლეა.

მონტე კარლოს ტრიუმფატორები სიცოცხლეშივე უკვდავთა სიაში ხვდებიან. ასი წლის მერეც მოწიწებით გაიხსენებენ — ამ ხომ მონაკოს დიდი პრიზი მოუგიაო. ის კი არა, ჯოჯოხეთური რბოლის ფინიშამდე მისვლა და თუნდაც ერთი ქულის შოვნაც დიდ ვაჟკაცობად ითვლება. ჯუჯა სათავადოს საფორმულო უფლისწულად კვლავინდებურად რჩება „ჯადოქარი" აირტონ სენა. ლეგენდარულმა ბრაზილიელმა მონაკოს ნაღდ უფლისწულ რანიესგან ექვსჯერ ჩაიბარა უზარმაზარი თასი. ხუთ-ხუთჯერ გაუმარჯვიათ ინგლისელ გრემ ჰილს და გერმანელ მიხაელ შუმახერს.

რიგით 49-ე მონაკოური რბოლისწინა ოფიციალურ (დროის ფიქსირებით) ვარჯიშზე საუკეთესო შედეგი იარნო ტრულიმ არჩვენა. 27 წლის იტალიელმა თავისი „რენო" მეორე ცდისას ყველაზე ფიცხლად გააჭენა და ბობოლა მეტოქეები, მათ შორის პირველი გასვლის მომგები მიხაელი, კარგა ბლომად ჩამოიტოვა.




REUTERS

იარნო ტრულიმ ვარჯიშზე მიხაელ შუმახერსაც კი აჯობა

**წლევანდელთა მონაკოური მონაგარი**

| | რბოლა | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | | |
| მ. შუმახერი | 10 | IV | გ | I | I | გ | I | - | I | გ | I | 53 |
| ირვინი | 7 | | | | გ | გ | III | III | II | IV | III | 21 |
| კულჰარდი | 7 | | | | გ | II | გ | გ | გ | I | V | 18 |
| ბარიკელო | 9 | | გ | გ | გ | გ | II | გ | - | II | II | 18 |
| პანი | 7 | | | - | გ | I | IV | გ | გ | | გ | 13 |
| ფიზიკელა | 6 | | | | | გ | VI | II | V | III | გ | 13 |
| სალო | 6 | | | | გ | V | V | IV | გ | V | | 9 |
| ფრენცენი | 7 | | | | VI | IV | გ | გ | IV | გ | გ | 7 |
| ვილნევი | 6 | | | | | გ | გ | V | გ | - | IV | 5 |
| ტრული | 5 | | | | | | გ | გ | - | გ | გ | 0 |
| რ. შუმახერი | 5 | | | | | | გ | გ | გ | გ | გ | 0 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | | | გ | გ | გ | 0 |
| ბატონი | 2 | | | | | | | | | გ | - | 0 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | | | | | | - | გ | 0 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | | | გ | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | | | - | 0 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | | | - | 0 |
| იონგი | - | | | | | | | | | | | - |

შენიშვნა: გ - რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი



# ახალი რუსი

## ზვიაგინცევს მთელი ქულები გაუტკბა



ვადიმ ზვიაგინცევი

**გერმანულ** ესენში, იულიან ბოროვსკის სახელობის მე-16 კატეგორიის ტურნირზე მოწინავე და მაჩანჩალა ჯგუფებს შორის ხიდი ჩატყდა. ფინიშამდე სამი ტურით ადრე ოთხნი ველად გაიჭრნენ და ბოლო ექვსეული იმათი დამწევი აღარ არის. ფლაგმანებიდან მე-7 ტურში კვლავ გამოირჩა რუსი ვადიმ ზვიაგინცევი, რომელიც აქამდეც სულ ცხრილის თავში ჩანდა. 2 ყაიმის ფონზე რუსის 5 გამარჯვება რიგიანი შედეგია და უნდა ითქვას, რომ ეს დიდი მოულოდნელობა არ გახლავთ. ზვიაგინცევის ელო-კოეფიციენტია 2645 და მას სოლიდურ დიდოსტატად იცნობენ, თუმცა ხმაურიანი წარმატება აქამდე ბევრი არ ჰქონია.

ზვიაგინცევის ბოლო მსხვერპლი გერმანელი თომას ლუთერი გახდა, რომლის თეთრ ფიგურებს რუსმა სიცილიური დაცვის რედუტები დაახვედრა და ფართე და ჭკვიანური გაცვლითი პოლიტიკის შემდეგ ეტლების ენდშპილი უკვე მისი იყო. ფინიშზე წარმოიქმნა გაბაზრებული დაბოლოება: ეტლი და პაიკი ეტლის წინააღმდეგ, რომლის თითოეული ნიუანსი აღწერილია თეორიის წიგნებში და ლუთერმა შენიშნა, რომ შანსი აღარ ჰქონდა.

პეტერ ლეკომ ვეტერან არტურ იუსუპოვის იერიშებს მხოლოდ გაუძლო, მოგებაზე არ უზრუნია და ახლა ზვიაგინცევს ჩამორჩება. წააგო სხვა ბებერმა, ვიქტორ კორჩნოიმ, რომელიც პოლონელმა მიხაელ კრასენკოვმა დაამარცხა. კიდევ შედეგები: რუსტამ კაზიმჯანოვი — დანიელ ფრიდმანი 0,5-0,5; კრისტოფერ ლუტცი — რუსტემ დაუტოვი 1-0; უზბეკმა კაზიმჯანოვმა ესენის ტურნირი შარშან მოიგო, მაგრამ წლეულს ამას ნაღდად ველარ მოახერხებს.

ჩვენი საჭადრაკო მარშრუტი გერმანიიდან უფრო თბილი ქვეყნისკენ, სამხრეთით, ბოსნიაში მიემართება, რომლის ტანჯული დედაქალაქი სარაევო (პირველი მსოფლიო ომი იქ ავსტრიის პრინცის მკვლელობით რომ დაიწყო, გაგონილი გექნებათ და რამდენიმე წლის წინ ხომ ბომბავდნენ და ბომბავდნენ) „ბოსნა 2002"-ის ტურნირს მასპინძლობს. კატეგორია აქაც მე-16, ლიდერი სადღეისოდ — 2. „ჩეხმა" სერგო მოვსესიანმა და „ბოსნიელმა" ივან სოკოლოვმა ორივე ტურში გამარჯვების ქულები მიითვალეს, მათ კუდში კი ვხედავთ ალექსეი შიროვს, რომელმაც მე-2 ტურში მასპინძელ ბოიან კურაიცას მოუგო.

პარტია ორ მოჭადრაკეს შორის კლასში სხვაობის ნიმუში გახლდათ. შიროვმა უპირატესობა დებიუტშივე მოიპოვა, მისმა თეთრებმა ცენტრი დაიპყრეს. მერე შიროვის მეფემ თამამი მანევრით შავების ფარული კომბინაცია აღკვეთა და თეთრებმა გადამწყვეტი იერიში დაიწყეს, რომლის გასანეიტრალებლად კურაიცამ ეტლსა და მხედარში მეტოქეს ლაზიერი დაუთმო, მაგრამ 34-ე სვლაზე მაინც ყველაფერი დამთავრდა. დასკვნით პოზიციას უკომენტაროდ, დიაგრამაზე გთავაზობთ.

**დავით გულუა**



**ესენის ტურნირი**

ვითარება 7 ტურის შემდეგ

1. ზვიაგინცევი 6; 2. ლეკო 5,5; 3. კრასენკოვი 5; 4. ლუტცი 4,5; 5. იუსუპოვი 3; 6-8. კაზიმჯანოვი, ფრიდმანი, კორჩნოი 2,5; 9. ლუთერი 2; 10. დაუტოვი 1,5

**სარაევოს ტურნირი**

ვითარება 2 ტურის შემდეგ

1-2. მოვსესიანი, სოკოლოვი 2; 3. შიროვი 1,5; 4-6. გეორგიევი, რაჯაბოვი, დრეევი 1; 7-9. კოჟული, დიძარევიჩი, სმირინი 0,5; 10. კურაიცა 0

# დინამოს ბათუმი არ გააგონოთ



„ბასკო“ — „დინამო“: სამწუხაროა, რომ საინტერესო დუელს სკანდალი ახლავს

**„ბასკო“ — „დინამო“** ფინალური სერიის გუშინწინდელ, მეორე ბათუმურ მატჩში მომხდარ ინცინდენტს გამოხმაურება გუშინ თბილისში მოჰყვა. თბილისურმა კლუბმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოაწყო პრესკონფერენცია, რომელსაც ბათუმელთა პრეზიდენტი მერაბ ემირიძეც უნდა დასწრებოდა, თუმც ღონისძიება დაგეგმილზე ერთი დღით ადრე გაიმართა და „დინამოს“ მედიასთან საუბარმაც უმისოდ ჩაიარა. ავადმყოფობის გამო პრესკონფერენციას ვერ დაესწრო თბილისელთა მწვრთნელი ლევან მოსეშვილიც. „დინამოს“ პრეზიდენტმა ბაჩო სხიერელმა, მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ, მოთამაშეებმა — მამუკა ტურაშვილმა, არჩილ ჟღენტმა, გიგი ნაცვლიშვილმა, რევაზ ჩხეიძემ, ირაკლი ჯაფარიძემ და სხვებმა შეკრებილთ იმ მატჩში მომხდარ დეტალებზე ეს უთხრეს:

...ჩვენ ჯერ კიდევ პირველი მატჩის შემდეგ უნდა გვეთქვა უარი სერიის გაგრძელებაზე მაშინ მამუკა ტურაშვილსა და ბათუმელ ქომაგს შორის შელაპარაკება მოხდა. მაგრამ ეს არ გავაკეთეთ და მეორე შეხვედრაში უარესი მივიღეთ. პირით ხაზს უკან ჩამწკრივებულ ადგილობრივ გულშემატკივარს რომ ბილწსიტყვაობას ვერ დაუშლი, ეს მეორე თამაშშიც გამოჩნდა და საქმე სერიოზულ შელაპარაკებამდე მივიდა, რომლის დროსაც ჩვენი გუნდის წევრმა გოჩა წოწელიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიიღო. სამწუხაროდ, ამას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. არადა, რუსთავის „აზოტის“ დარბაზს სულ მცირე ინციდენტის გამო მისცეს დისკვალიფიკაცია, როცა მცირეწლოვანმა რუსთაველმა მსაჯს შეაგინა. ბათუმში კი ბევრად არაკორექტული ფაქტი დაფიქსირდა. აუარება შეიარაღებული სამართალდამცავის მხრიდან დინამოელები აუტანელ ზეწოლას განიცდიდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მაყურებელთა სიტყვიერ შეურაცხყოფაზე...

რაც შეეხება მსაჯობას, თქმა არ უნდა, იგი ტენდენციური იყო, თუმც მას მატჩის შედეგზე ისეთი გავლენა არ მოუხდენია, როგორიც გულშემატკივარ-ძალოვანთა ზეწოლას...

იმ მატჩის ყველაზე საკამათო ეპიზოდის მონაწილე მამუკა ტურაშვილი უკრაინელი მსაჯის გადაწყვეტილებით გაურკვევლობაში აღმოჩენილა:

— თამაშის დამთავრებამდე 20 წამით ადრე, როცა ქულას ვიგებდით, ჩემს მიერ გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოტანის შემდეგ უკრაინელმა მსაჯმა გარბენი დააფიქსირა. თავიდან ვერ მივხვდი, მე დავარღვიე თამაშის წესი თუ ირაკლი მაისურაძემ, ვისაც პასი მივეცი. აღმოჩნდა, რომ მსაჯს „მაისაზე“ დაუფიქსირებია გარბენი, ვისთან ბრძოლაშიც წესებს ბასკოელი ირაკლი საყვარელიძე არღვევდა.

სპორტკლუბ „თბილისის დინამოს“ იურისტმა ნიკა კობალავამ, მიუხედავად დინამოელთა აღშფოთებისა, ყველას შეახსენა, რომ ეს ყველაფერი მოხდა სპორტული ღონისძიების დროს, როცა გულშემატკივარიც და მოთამაშეებიც უკიდურესად აღგზნებულნი იყვნენ და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

თუმც „დინამოს“ იურისტის შეგონების მიუხედავად, კლუბის პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ თუ თბილისელები მომდევნო შინაურ მატჩებში იმარჯვებენ და საქმე ბოლო, ბათუმში გასამართ გადამწყვეტ შეხვედრამდე მივა, მისი გუნდი იქ არ ჩავა.

დინამოელებმა ბათუმში მომხდარზე რეაგირება ფედერაციას გადაულოცეს და თუ ამ ინციდენტს შესაბამისი შეფასება არ მოჰყვა, ბოლო ფინალური მატჩი (თუ საჭირო გახდა), ალბათ, ბათუმში არ გაიმართება.

**ირაკლი ბერტაია**

ჰოკეი

**NHL სტენლის თასი**
**ნახევარფინალი**

# ჯერ ნუ მიტირებთ

## ტორონტო ორმა ჯუჯამ დააჯუჯა



REUTERS

კერტის ჯოზეფმა ვერაფრით უშველა ტორონტოს

### აღმოსავლეთი

23 მაისი

| | |
|---|---|
| კაროლინა | 3 |
| ტორონტო | 1 |

**ტორონტო 0:3 კაროლინა 0:1 0:0 0:2**
**0:1 სვობოდა (20), 0:2 კაპანენი (52), 0:3 ფრენსისი**

არა და არ ტყდება კაროლინა, კვლავ მშვიდად, აუღელვებლად თამაშობს. გამოცდილმა ტორონტომ სერიის მეოთხე მატჩშიც ვერაფერი მოუხერხა მოწინააღმდეგეს და უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

არადა, პეტ ქუინის მოწაფეები ყველაფერს სწორად აკეთებდნენ. თავკაციც დაუბრუნდათ და სული და გული ჩააქსოვეს მოგებისთვის ბრძოლაში. თავიდანვე მიიტანეს იერიში მეტოქის კარზე, რათა სწრაფი გოლით კაროლინა აეძულებინათ, ღრმა დაცვით ტაქტიკაზე ხელი აეღო. მომენტებიც უხვად ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ პირველ 15 წუთში სამჯერ რიცხვმრავლობაში იყვნენ, მაგრამ სტუმრები თავგანწირვით, თან ერთობ ორგანიზებულად იცავდნენ თავს, ხოლო მეკარე არტურს ირბე შეუდარებელი იყო. ლიგაში ყველაზე ტანმორჩილმა (170სმ) გოლკიპერმა მთლიანად გადაფარა კარი და საბრალო ტორონტოელები ამ გაუვალ კედელს ვერაფერს უხერხებდნენ. თავის მხრივ კაროლინამ ყველა თავისი შანსი ისე აუღელვებლად გამოიყენა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყო. პირველ პერიოდში ერთადერთი რიცხვმრავლობისას სტუმრებმა ორი წუთი გააკონტროლეს შაიბა მეტოქის ზონაში და მას სულ თავგზა აუბნიეს. იაროსლავ სვობოდას ორჯერ ახლო მანძილიდან დარტყმაში ვერავინ შეუშალა ხელი. ამის შემდეგ კაროლინას ნახევარ საათზე მეტხანს აღარ შეექმნა მომენტი, მაგრამ როგორც კი მიეცა შანსი, მაშინვე გამოიყენა. გამოცდილმა რონ ფრენსისმა ოდნავი შეყოვნებაც არ აპატია მცველ ანდერს ერიკსონს. სწორედ მისი ელვისებური პასი გამოიყენა კაროლინას კიდევ ერთმა „ჯუჯამ“ სამი კაპანენმა (175სმ) და როგორც იქნა, გატეხა ნავსი პლეი ოფში პირველად გაიტანა. „ასეთია ჩვენი კაპიტანი. ისე სწრაფად მომაწოდა შაიბა, რომ მას მოუმზადებელი დავხვდი. საბედნიეროდ, ხელს არავინ მიშლიდა და მეც არ ავაცილე“ — ცხადია, კაპანენის ეს სიტყვები რონ ფრენსისის მისამართით იყო ნათქვამი. ბოლოს თავად ფრენსისმაც გაიტანა, თუმც ეს გოლი აღარაფერს წყვეტდა.

მიუხედავად მარცხისა, ტორონტოს პრინციპში თავი არ შეურცხვენია. ამიტომაც გუნდის კაპიტან მატს სუნდინის თქმით, სერიის დასრულებამდე ჯერ კიდევ შორის. „დღეს მხოლოდ საგოლე ყნოსვა გვაკლდა, თორემ უეჭველად მოვიგებდით. ასე რომ, წინასწარ ნუ გამოგვიტირებთ“ — უთხრა შვედმა ჟურნალისტებს. სხვათა შორის, თვით სუნდინი ერთობ არადამაჯერებლად გამოიყურება, ვინაიდან ხელის ტრავმა ბოლომდე არ მოურჩენია.

ცხადია, მოწინააღმდეგეთა ბანაკში სხვა განწყობა სუფევდა, თუმც კაროლინელთა თავკაცმა პოლ მორისმა მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და თქვა, საკმაოდ გაკვირვებული ვარ, რომ სერიაში ასე დამაჯერებლად დავწინაურდით, მაგრამ ჯერაც არაფერია გადაწყვეტილიო.

**სამველ ღარიბიანი**

რაგბი

# სამხრეთ აფრიკის ნაკრები სანახევროდ თბილისურია

**სამხრეთ აფრიკის** ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რუდი სტრაულიმ ის 22 კაცი დაასახელა, 26 მაისს ეროვნულ ნაკრებში ვერმოხვედრილებს რომ დაუპირისპირდება. ეს იქნება საწვრთნელი მატჩი და პრეტორიაში გაიმართება.

მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით სტრაულიმ თქვა: „არვის ეგონოს, რომ წაივარჯიშებს. ვინც მოედანზე არ იბრძოლებს, შემადგენლობიდან ამოვარდება. სამხრეთ აფრიკაში უამრავი კარგი მორაგბე მოიძებნება, ასე რომ, შემცვლელის პოვნა არ გაძნელდება“.

სტრაულის ნაკრებში არ იქნება „ქურციკთა“ ვარსკვლავი პერსი მონტგომერი, რომელმაც შავკანიანთა კვოტების გამო ნაკრებში თამაში იუარა. მწვრთნელი კი შეგირდყოფილს სიხარბეში ადანაშაულებს და ჯიუტად იმეორებს, მონტგომერის ბრიტანეთში წასვლა და იქაური გირვანქები უნდა, თორემ სანაკრებო კვოტები მხოლოდ მიზეზიაო.

სამაგიეროდ, „ქურციკებს“ დაუბრუნდნენ შუამარბი მარიუს ჟუბერი და მორკინალი იანეს ლაბუსხანი. შარშან ორივე სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრებს ჩამოჰყვა თბილისში. ლაბუსხანი მაშინ გუნდს კაპიტნობდა და ბორჯღალოსნებს ორი ლელოც გაუტანა. ამ გუნდიდან სტრაულის რჩეულებში კიდევ ხუთნი მოხვდნენ: რიკარდო ლუბშერი, იოანეს კონრადი, ფაან რაუტენბახი, დაან ჰუმანი და კუინტონ დავიდსი.

ძირითადი გუნდის სრული შემადგენლობა კი ასეთია: *მორკინალები: ბობ სკინსტადი, ეიჯეი ვენტერი, კორნე კრიჟე, ჯო ვან ნიკერკი, ვიქტორ მეთფილდი, იანეს ლაბუსხანი, კუინტონ დავიდსი, ჯეიმს დალტონი, ოლე ლე რუ, დაან ჰუმანი, ფაან რაუტენბახი, ვილი მეიერი; უკანა ხაზი: რიკარდო ლუბშერი, ბრეიტონ პოლსე, სტეფან ტერბლანი, მარიუს ჟუბერი, დე ვეტ ბერი, ანდრე სნიმენი, ანდრე პრეტორიუსი, ბრენტ რასელი, იოანეს კონრადი, კრეიგ დევიდსონი.*

სამხრეთ აფრიკის ნაკრებისთვის ეს პრეტორიული მატჩი 8 ივნისს უელსთან გასამართი ტესტის რეპეტიცია იქნება. სულ კი „ქურციკები“ წლეულს 10 ტესტ-მატჩს ითამაშებენ.

**ბაჩო სვანიძე**



იანეს ლაბუსხანი




შიტორიუ კარატე-დო
კოფუკანის კლუბი „სოდანი“

აცხადებს გოგონებისა და ვაჟების მიღებას 7-წლიდან

ვარჯიშებს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური, II და III დანის ინსტრუქტორები, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი.

გთხოვთ, მობრძანდეთ

ვარჯიშები ტარდება:
მეტრო ელექტრო დეპოსთან ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტერიტორიაზე
ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი — საღამოს 16 - 18 საათი
ცნობებისათვის დარეკეთ 69-78-55





REUTERS კუალა ლუმპურიდან



REUTERS კუალა ლუმპურიდან

# გამგზავრებამდე



REUTERS კუალა ლუმპურიდან

რობერტო კარლოსს წყალში ოსტატური ხტომა არ სცოდნია, თუმცა, რაც იცის, ისიც საკმარისია. მალაიზიაში მყოფი ბრაზილიის ნაკრები კუალა ლუმპურში უნდა ეთამაშოს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს და მერე კორეა-იაპონიისკენ დაიჭერს გეზს. მანამდე კი ბრაზილიელთა რატომღაც უპირველესი იმედი, რონალდინიო გაუშუ მალაიზიური სამზარეულოს საიდუმლოებათა ამოხსნას ცდილობს. თუ ვერ მოარტყი და, ეგებ გულიც აგერიოს.

# საქორწილო

ტაილანდში ფეხბურთის თამაში დიდად არ ეხერხებათ, მაგრამ აქაურ გულშემატკივრებს თავისუფლად უწოდებ ფეხბურთის გიჟებს. ტაები მოუთმენლად ელიან მსოფლიოს ჩემპიონატის დასაწყისს. საფეხბურთოდ გაფორმებული საქორწილო კაბაც ამ მოლოდინის შედეგია.



REUTERS ბანგკოკიდან

# ჩხაკ!

მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასულმა ყოველმა ფეხბურთელმა ფოტო უნდა გადაიღოს და სწორედ იქ გადაღებული ფოტო უნდა ჩაიკრას სააკრედიტაციო საბუთში. სანიმუშოდ ურუგვაელი თავდამსხმელის, დარიო სილვას სერიოზული სახე გამოდგება.




REUTERS გოტემბადან



REUTERS მონტე კარლოდან

# ოჯახური თამაში

მონაკოს დიდი პრიზის გათამაშება იწყება და ფორმულის ერთ-ერთი ვარსკვლავი და ყოფილი ჩემპიონი, მიკა ჰაკინენი ოჯახით ჩასულა მონტე კარლოში. მეუღლე ერია მიკას და პატარა ჰუგოს თამაშს გაუხალისებია. რას ითამაშებენ მრბოლის ოჯახში? ჰუგოს ბოლიდის საჭე უჭირავს ხელში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge